სპორტიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | სამშაბათი, 17 აგვისტო 1993 № 5 (52) | ფასი 70 კუპონი

6 „უილიამსის“ პრახი და ტრიუმფი

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

დეიმონ ჰილის პირველი გრან-პრი

7 ინტერვიუ იუვიათ სტუმართან

ლეილა მესხი „ფლაშინგ მიდოუს“ შესახებ

8 ყველაფერი სიდნეიში გადაწყდება

„ვოლაბების“ რევანში

«ლინფილდი» ავლაბარში

ეს უკვე მშვენიერი ფაქტია: „ლინფილდი““ თბილისში მშვიდობით ჩამოვიდა. ორშაბათს გამთენიის 6 საათისათვის „ორბის“ თვითმფრინავი ჩვენი ქალაქის აეროპორტში დაეშვა. დამხვდურთა ამალა მართლაც რომ სოლიდური იყო — ასე რომ ცხონებული ამერიკელი დიპლომატისთვის მიეხედათ, ხვალ თამაშზე მოვიდოდა ის საწყალი. ბელფასტელები „მეტეხში“ მოეწყვნენ და ძილს მისცეს თავი. დღის სამი საათისათვის სტუმრებმა ქალაქის დათვალიერება გადაწყვიტეს. უსაფრთხოების მიზნით, ემანდ ცუდი საქმის ჩამდენი არავის ვეგონოთო, გადავწყვიტეთ „ლინფილდის“ ავტობუსსა და მართლაც კბილებამდე შეიარაღებული დაცვის მანქანებს უკან არ გავყოლოდით, ამიტომ ზუსტად ვერ გეტყვით, თუ რა ღირშესანიშნავი ადგილები მოინახულეს ლინფილდელებმა. სამსაათიანი ექსკურსიის შემდეგ „დინამოს“ მეტოქემ ცოტა ხნით ისევ „მეტეხში“ შემოიარა და ჩვენც საშუალება მოგვეცა გავსაუბრებოდით ფეხბურთელებს. როგორც გუნდის თავდამსხმელმა გარი ჰოლოქმა გვითხრა, შაბათს „ლინფილდი“ ოლსტერის სამხარეო თასის მატჩში „დისტილერს“ შეხვდა და ფრედ 2:2 ითამაშა. „ერთი გოლი მე გავიტანე, მეორე კი ნახევარმცველმა ლი დოჰერტიმ“. „დინამოს“ შესახებ საუბარი გარიმ იმით დაიწყო და დაამთავრა, რომ თქვა: „ვიცით, „ლივერპულის“ მომგები გუნდიაო. აქედან გამომდინარე, ჰოლოქის თქმით, ერჩივნათ, რომ ამ ეტაპზე სხვა გუნდი შეხვედროდათ, თუმცა თავდამსხმელი იმედოვნებს, რომ შემდეგ ეტაპზე სწორედ მისი გუნდი გავა. „დისტილერთან“ გატანილი მეორე გოლის ავტორი ლი დოჰერტი ხუმრობის ხასიათზე იდგა. ჩვენს შეკითხვაზე, თუ რამდენი გულშემატკივარი ჩამოყვა გუნდს, გვიპასუხა: 383, თუმცა შეიძლება სამიცო — მთელი გზა მეძინა და ვერ შევამჩნიეო. ჩვენი „მეტეხში“ ყოფნის დროს მხოლოდ ერთი გულშემატკივარი ვნახეთ, ისიც, ალბათ, ზუსტად ვერ იტყოდა — თბილისში იყო თუ მეზობელ კარდიფში.

ამასობაში გუნდის მთავარი მწვრთნელი ტრევორ ანდერსონიც „ჩაგვივარდა ხელში“. ის თავის დროზე (1972-75) „მანჩესტერ იუნაიტედშიც“ კი თამაშობდა ბესტისა და ლოუს გვერდით, 22-ჯერ ითამაშა ჩრდილო ირლანდიის ნაკრებში და 3 გოლი გაიტანა. „შარშან, როცა გუნდში მოვედი, იგი მეორე ადგილზე იყო და ლიდერს რვა ქულით ჩამორჩებოდა. მას შემდეგ მხოლოდ ორი მატჩი წავაგეთ და ჩემპიონებიც გავხდით“. — გვითხრა ანდერსონმა. მისი თქმით, გუნდში ყველა ჯანმრთელია და მზად არიან საბრძოლველად. „ისე კი ისიც ძალიან მიხარია, რომ აქ ცოცხლები ჩამოვედით: ლვოვში დაჯდომისას თვითმფრინავს ერთი საბურავი გაუსკდა. ისევ ავფრინდით და ავარიული დაფრენა განვახორციელეთ. ასე, რომ მატჩის შედეგი ჩვენთვის უკვე მეორეხარისხოვანია“ — იხუმრა მწვრთნელმა, რომელიც თბილისში მიღებით, განსაკუთრებით კი სასტუმრო „მეტეხით“, აღფრთოვანებული იყო.

... საღამოს 8-ის თხუთმეტ წუთზე „ლინფილდი“ უკვე დიღმის ბაზაზე ვარჯიშობდა. ყველაზე დაინტერესებული მაყურებელი, რა თქმა უნდა, გივი ნოდია იყო, თუმცა... „კოპენჰაგენის“ მთავარი მწვრთნელი ბენი ოჰანსენიც არანაკლები ინტერესით ადევნებდა თვალს ბელფასტელებს, რომლებიც... რაგბს თამაშობდნენ. მისი ჩამოსვლა ნაშდვილად მოულოდნელი იყო ჩვენთვის, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მასაც გავსაუბრებოდით: ოთხი წელია, რაც „ლინფილდის“ თამაში არ მინახია, „დინამო“ კი ბოლოს 1986 წელს ვიხილე — ამბობს იოჰანსენი, თუმცა ძალიან კარგად მახსოვს, როცა თქვენებმა „ბკ კოპენჰაგენი“ დაამარცხეს 70-იან წლებში. კითხვაზე, თუ რომელ მეტოქეს აირჩევდა იგი თავისი გუნდისთვის, იოჰანსენმა თქვა ამაზე ზეგ საღამოს ვილაპარაკოთო...

მატჩამდე სულ ცოტა დრო რჩება.

„ლინფილდის“ ფეხბურთელები ვარჯიშზე გამგზავრების წინ

მწვრთნელი ლინდსი მაკქინი და მთავარი მწვრთნელი ტრევორ ანდერსონი

გია იუხნელისა და ზურაბ მეძველიას
რეპორტაჟი



ბრიტანელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლინფორდ კრისტიმ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ სადღეისოდ მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანია. კვირას შტუტგარტში მან კიდევ ერთხელ აჯობა კარლ ლუისს, აწ უკვე მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, და კიდევ ორი ამერიკელიც — კეისონი და მიტჩელი ზედ მიაყოლა.

«მეფე შიშველია!»

მსოფლიოს ჩემპიონატი პარასკევს საღამოს დიდი ზარ-ზეიმით გაიხსნა. მობრძანდა თვით გერმანიის ფედერალური პრეზიდენტი რიხარდ ფონ ვაიცზეკერი და იაიფის პრეზიდენტ პრიმო ნებიოლოს მხარი დაუმშვენა. მასპინძლებმა კომპოზიტორ ებერჰარდ შურნერის მუსიკაზე წარმოდგენა, სახელად „ჰარმონია მუნდი“ ანუ „საყოველთაო სიამტკბილობა“ გაითამაშეს. ხუთივე კონტინენტის ბავშვებმა შშვიდობაზე წაიკითხეს ლექსები, ციდან ხუთი პარაშუტისტიც ჩამოხტა, ზეცაში კი ასეულობით მტრედი ააფრინეს. აჟღერდა ყველანაირი მუსიკა — აფრიკული როკვაც, ამერიკული ბლუზიცა და სიმებიანიც; საამისოდ ბერლინის ფილარმონიის 12 ჩელოზე დამკვრელი საგანგებოდ ჩამოიყვანეს. სატელევიზიო თანამგზავრების მეშვეობით განხორციელდა პირდაპირი ჩართვები ევროპის გარეშე ოთხივე კონტინენტიდან. ასე, მაგალითად, აფრიკა ეგვიპტემ წარმოადგინა, აზია — ინდონეზიამ, ავსტრალია კი სიდნეურმა ჯგუფმა „დიჯერი დუუმ“.

ამდენმა დღესასწაულმა წინასასტარტო პრობლემები ერთგვარად დაჩრდილა. არადა, ზედ გახსნის წინ გაირკვა, რომ დოპინგზე მესამე უკრაინელი დედაკაციც, 4X400 მ ესტაფეტაში 1991 წლის მსოფლიო ჩემპიონი ლუდმილა ჯიგალოვაც ჩავარდნილა. რაც შეეხებათ ფულადი პრიზების დაუწესებლობით უკმაყოფილო მეამბოხეთა სულსა და გულს, ალბერელ ნურადინ მორსელის, მის გამო იაიფ-მა კერძო განხილება გამოიტანა: ჩამობრძანდეს და დაიცვას 1500 მეტრზე რბენაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, თორემ წლევანდელი „გრან პრის“ ფინალებიდანაც გავრიცხავთ და ატლანტის ოლიმპიადიდანაც. ამით მორსელის დიდ გეგმებს ფრთები შეეკეცა, რაკიღა თუ „გრან პრიდან“ გააძევებენ, „ოქროს ოთხი შეჯიბრების“ გამარჯვებულისთვის დაწესებული 20 თითოკილოგრამიანი ოქროს ზოდის დაუფლების ოცნებაზეც უნდა აიღოს ხელი.

იაიფ-ის განხილებამ მორსელის მენეჯერი ომარ ბრაჰმი აღაშფოთა და ამანაც ფედერაციას დიქტატორობა დასწამა, თან ისიც დაურთო, მორსელი ნებიოლოს უფრო სჭირდება, ვიდრე პირუკუო. ასეა თუ ისე, იაიფ-ი იხტიბარს არ იტეხს, მით უფრო, რომ მორსელი ჯერაც წერია გუნდის განაცხადში და სასტუმროშიც ადგილი დაჯავშნული აქვს.

საკუთრივ შეჯიბრება შაბათს დაიწყო. პირველი ჯილდოები ქალთა 10 კმ სიარულსა და ვაკთა მარათონში გათამაშდა. მონაწილეებს სიცხესა და ბუღში მოუწიათ ასპარეზობა. ტრასაზე მზე აცხუნებდა და ტემპერატურა 30 გრადუსს აღწევდა.

ქალთა სიარულში სეზონის ლიდერის, ავსტრალიელი კერი საქსბიჯუნეს გამარჯვებას ვარაუდობდნენ,

იხილეთ მეექვსე გვერდი

საქართველოს ჩემპიონატი

II ტური

აღმოსავლეთი

მაღაროელი 2
მარგვეთი 0

ქიათურა, ცენტრალური სტადიონი.
12 აგვისტო

მაღაროელი: ხელაძე, იობაშვილი, ლურსმანაშვილი, რუხაძე, თამაზაშვილი, აბრამიშვილი (ბურძენიძე 45), ბრეგვაძე, ბუიშვილი, კავთელაძე, დადუნაშვილი, მწყერაშვილი (ხახიშვილი 75).
მარგვეთი: ბაბუაძე, ჩიხლაძე, გურიელიძე, გიგატაძე, ლონლაძე (მანაგაძე 75), ნიქარიშვილი, გიორგაძე, ხუნდაძე, მეგრელაძე, სუხიაშვილი, შენგელია.

1:0 ბუიშვილი (69)
2:0 მწყერაშვილი (72)

გაფრთხილება: რუხაძე
მსაჯი: ვ. ეჯიბია (თბილისი)

ივერია 1
კახეთი 1

ხაშური, ცენტრალური სტადიონი.
12 აგვისტო

ივერია: გვენცაძე, ჯიკაევი, მჭედლიშვილი, რობაქიძე, ხარაზიშვილი, მაქაცარია, ტარიელაშვილი, მარღიშვილი, ქობელაშვილი, ბაკურაძე, სამხარაძე.
კახეთი: გრიშიკაშვილი, ტოგონიძე, კაციტაძე, სანადირაძე, ნიქარიშვილი, ჭურიტიძე (დემეტრაძე 88), შონია, ლ. ხორხელი (ა. ხორხელი 87), ალავიძე, კვარაცხელია, სეფაშვილი.

0:1 ალავიძე (25)
1:1მაქაცარია (89)

გაფრთხილება: რობაქიძე, სამხარაძე, ტოგონიძე, ალავიძე, ნიქარიშვილი
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

საპოვნელა 0
ერქვანი 0

თერჯოლა, ცენტრალური სტადიონი.
12 აგვისტო

საპოვნელა: თევზაძე, ხვარეშია, გენაძე, ჭულუხაძე, ძიძიშვილი, უკლება, ბრეგვაძე, ქურცაძე, გოდერძიშვილი, ახალედიანი, ჩინჩალაძე (გურჯანიძე, 46).
ერქვანი: ნარეკლიშვილი, შალამბერიძე, გაგნიძე, დლიძე, ლაცაბიძე, ფოფხაძე, ინიაშვილი, თაბუკაშვილი, ჭოლოკავა (ბოსიკაშვილი, 78), კიკნაძე (ყიზილაშვილი), მეტრეველი.
მსაჯი: ო. გუნთაძე (თბილისი)

მრეტები 0
მეტალურგი 2

თბილისი, ავლაბრის სტადიონი.
13 აგვისტო

მრეტები: ჯანელიძე, ქვარცხავა, ძაბირაძე, კ. ამბიძე (გიორგაძე 46, ზეიკიძე 66), ბახტაძე, იაგორაშვილი, ქორიძე, ჩუხუა, თეირული, ჯუღელი, მოსულიშვილი.
მეტალურგი: ქორიძე, ქართველიშვილი, ბურნაძე, ნოდია, დუშუაშვილი, ჩოჩიევი, არსოშვილი, გ. კილასონია, მაჭავარიანი (ალადაშვილი 46; მელაძე 86), მეტრეველი, ღუდუშაური.

0:1 ალადაშვილი (83)
0:2 გ. კილასონია (86)

გაფრთხილება: ქორიძე, ღუდუშაური
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

დასავლეთი

ცხუმი 1
გურია 7

მცხეთა, ცენტრალური სტადიონი.
12 აგვისტო

ცხუმი: ქვაჩახია, მიქაძე, ზ. ჯელაძე, სიჭინავა, დანელია (ჯიჯელავა, 46), მინდაძე, ღურნკაია, ანჯაფარიძე (რუსია 46), გადელია, გოგიაშვილი, გ. ჯელაძე.
გურია: ამუსერიძე, პაპავა, თევზაძე (პერტია, 61) დანელია, ბუცურეიშვილი, გოგოლაძე, დოლბაია (ნარიაშვილი, 46) რეხვიაშვილი, კორლალიძე, ფრიდონაშვილი, გამცემლიძე.

0:1 გოგოლაძე (8)
0:2 გოგოლაძე (22)
0:3 გოგოლაძე (29)
0:4 გამცემლიძე (44)
0:5 ფრიდონაშვილი (58)
0:6 კორლალიძე (60)
0:7 გამცემლიძე (64)
1:7 ჯიჯელავა (88)

მსაჯი: ჯ. ნერეთელი (რუსთავი)

სამგურალი 1
ტორპედო 2

წყალტუბო, 26 მაისის სტადიონი.
12 აგვისტო

სამგურალი: კიკალეიშვილი, ჯანხოთელი, რ. იობიძე, გ. ჯანელიძე, ჭ. იობიძე, მაღლაკელიძე, ცნობილაძე (ვ. ჯანელიძე, 75), ვ. ფუსტვენიძე, ხურცილავა. ლ. ფუსტვენიძე, ხარაბაძე.
ტორპედო: ნიშნიანიძე, ნოზაძე, ჩხაბერიძე, დიდავა, ხართიშვილი, სადილიანი, ჯინჭარაძე, გიორგობიანი, მაღლაკელიძე, ხუჭუა, კვეტენაძე (ვაჩიბერაძე, 85).

0:1 ხუჭუა (27)
0:2 მაღლაკელიძე (55)
1:2 კიკალეიშვილი (78 პ)

გაფრთხილება: ცნობილაძე, ნოზაძე
მსაჯი: გ. ხეჩუაშვილი (კასპი)

მზიური 1
გათუმი 2

ვანი, ცენტრალური სტადიონი.
12 აგვისტო

მზიური: ფიფია, ეთერია, დ. ღურნკაია, ზ. კვეკვესქირი, თ. ღურნკაია, ყოლბაია, კ. კვეკვესქირი, ხერგიანი (თორია, 60), ქორთუა, ჩხეტია, ქანთარია.
გათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, გეთია, მუჯირი, შეფილაძე, თორღაშვილი, მახარაძე, მაჭუტაძე, ხომერიკი, ჯულეჯიშვილი (სიხარულიძე, 85), კანტიძე.

0:1 მაჭუტაძე (13)
1:1 დ. ღურნკაია (35)
1:2 ხომერიკი (83)

გაფრთხილება: თორია, კანტიძე
გაძევება: კანტიძე (71, მონინააღმდეგის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

ამირანი 2
სამტრედია 2

ფოთი, სტადიონი „კოლხეთი“
12 აგვისტო

ამირანი: ფიფია, ძალამიძე, ვ. კაკუბავა, ვ. გუჩუა, რ. გუჩუა, ჯოჯუა, ჯინორია (შალამბერიძე, 82), ნ. კაკუბავა, თოლორდავა (როსტომაძე, 46), გაბისონია, აფუდოპულო.
სამტრედია: მიქაძე, იონანიძე, სიდამონიძე, ბზიკაძე, ვაშაკიძე, წულაია (გოგელიძე, 46), ამაშუკელი, ჭყონია, ჯანაშია, ფანჩულიძე, ტონია.

0:1 ჯანაშია (11)
0:2 იონანიძე (24)
1:2 გაბისონია (49)
2:2 ჯინორია (79)

გაფრთხილება: ვ. გუჩუა, მიქაძე
მსაჯი: მ. ჭელიძე (თბილისი)

სატურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	გ	ქ
დინამო	2	2	0	0	11-1	6
მაღაროელი	2	2	0	0	4-0	6
საპოვნელა	2	1	1	0	3-0	4
მეტალურგი	2	1	0	1	2-3	3
მრეტები	2	1	0	1	1-2	3
შევარდენი	2	1	0	1	4-7	3
ივერია	1	0	1	0	1-1	1
კახეთი	2	0	1	1	1-3	1
ერქვანი	2	0	1	1	0-3	1
დილა	1	0	0	1	0-1	0
მარგვეთი	2	0	0	2	0-6	0

დღეს, მესამე ტურში თამაშობენ:

შევარდენი 1906 — საპოვნელა
ერქვანი — მაღაროელი
მარგვეთი — მრეტები
მეტალურგი — ივერია
კახეთი — დილა

	თ	მ	ფ	წ	გ	ქ
გურია	2	2	0	0	11-2	6
კოლხეთი 1913	2	2	0	0	8-4	6
ბათუმი	2	2	0	0	5-1	6
სამტრედია	2	1	1	0	7-2	4
ტორპედო	2	1	1	0	3-2	4
ამირანი	2	0	1	1	5-7	1
შუქურა	2	0	1	1	2-4	1
სამგურალი	1	0	0	1	1-2	0
ოდიში	1	0	0	1	1-4	0
მზიური	2	0	0	2	1-7	0
ცხუმი	2	0	0	2	1-10	0

დღეს, მესამე ტურში თამაშობენ:

კოლხეთი 1913 — სამგურალი
სამტრედია — შუქურა
ბათუმი — ამირანი
გურია — მზიური
ოდიში — ცხუმი

სტატისტიკა. II ტური

	აღმ.	დას.	სულ	ხეზონში
მატჩი	5	5	10	20
გოლი	14	22	36	72
საშუალო შედეგიანობა	2,8	4,4	3,6	3,6
მასპინძლები — სტუმრები:				
ქულები	8-5	1-13	9-18	37-19
პროცენტულად	62-38	7-93	33-67	66-34
ბურთები	10-4	6-16	16-20	47-25
პროცენტულად	71-29	27-73	44-56	65-35
გაძევება	—	1-2	1-2	1-4
გაფრთხილება	4-4	4-4	8-8	15-14
პენალტი	1-0	—	1-0	5-3
გამოყენებულია	1-0	—	1-0	5-2
დიდი ანგარიში	1	1	2	8
„პეთ-თრიქი“	—	1	1	2
ფეხბურთელთა რაოდენობა	126	124	250	300
დებიუტანტები	5	4	9	56

„პეთ-თრიქი“ ისევ „დასავლეთელმა“ და ისევ „გურიის“ ფეხბურთელმა, ამჯერად ჯ. გოგოლაძემ შეასრულა. 2-2 ბურთი გაიტანეს: ა. და რ. არველაძეებმა, გ. ჭინჭლაძემ (სამივე „დინამო“), პ. გამცემლიძემ („გურია“)
დასავლეთის ქვეჯგუფში სტუმრებმა შავი დღე აყარეს მასპინძლებს, მათ 5-დან 4 მატჩი მოიგეს და 1 ფრედ დაამთავრეს, რაც ეროვნული ჩემპიონატში იშვიათობაა. პირველი ტურის სასტიკი მარცხის მერე შედარებით უკეთესად ითამაშეს „აღმოსავლეთელმა“ სტუმრებმა, მათ მხოლოდ მინიმალური სხვაობით დათმეს პაექრობა მასპინძლებთან (1 მოგება, 2 ფრე, 2 წაგება). ისევე როგორც პირველ ტურში, ახლაც გატანილ იქნა 36 გოლი და ისევ ძირითადად დასავლეთის ქვეჯგუფის ხარჯზე.
ტურში დანიშნული ერთადერთი პენალტი ოსტატურად გამოიყენა ნყალტუბოელმა მეკარე გ. კიკალეიშვილმა, რომლისთვისაც ეს მესამე გატანილი გოლია უმაღლეს ჯგუფში.
ბომბარდირთა შორის დანიაურდნენ: ო. კორლალიძე — 4 გოლი, ჯ. გოგოლაძე (ორივე „გურია“), ა. არველაძე („დინამო“), დ. ჯანაშია, ზ. იონანიძე (ორივე „სამტრედია“) — 3-3. 11-მა ფეხბურთელმა გაიტანა 2-2 ბურთი.
მეორე გაფრთხილებები მიიღეს გ. ქორიძემ („მრეტები“) და ტ. კანდელაკმა („შუქურა“).
პირველ ჯგუფში მეასე მატჩი ჩაატარა გ. ნიქარიშვილმა („მარგვეთი“).

ეროვნული ჩემპიონატები

გერმანია

II ტური. 13, 14, 15 აგვისტო. „ნიურნბერგი“ — „კიოლნი“ 1:0, „დინამო“ — „დუისბურგი“ 0:1, „ბაიერი“ ლევერკუზენი — „ბაიერნი“ 2:1, „კაიზერსლაუტერნი“ — „ბორუსია“ მიონხენგლადბახი 4:2, „ფრაიბურგი“ — „ვატენშაიდი“ 4:1, „კარლსრუე“ — „ჰამბურგი“ 2:0, „აინტრახტი“ — „ვერდერი“ 2:2, „შალკე 04“ — „ბორუსია“ დორტმუნდი 1:0. „შტუტგარტი“ — „ლაიციგი“ გადაიდო.

ლევერკუზენი გაზაფხულზე მოგებულ თასს არ სჯერდება. მიუნხენის გუნდს ულფ კირსტენმა პირველსავე წუთზე გაუტანა ბურთი. ტაიმის ბოლოს ოლაფ ტონმა პენალტით გაქვითა ანგარიში, მაგრამ ბრაზილიელმა პაულუ სერჟიომ თავისიანებს მაინც გაამარჯვებინა. „ბაიერნს“ ამ დღეს აკლდა ადოლფო ვალენსია, რომელიც კოლუმბიის ნაკრებში იყო მიწვეული არგენტინასთან სათამაშოდ. კახი ცხადაძის „აინტრახტი“ არ დანებდა ქვეყნის ამჟამინდელ ჩემპიონს „ვერდერს“. დიტმარ ბაიერსდორფერისა და მარკო ბოდეს გოლებით სტუმრები იგებდნენ, მაგრამ განელი იებოასა და პოლონელი ფურტოკის გოლებით ფრანკფურტმა ქულა მოიპოვა. საფეხბურთო დრამა დატრიალდა დრეზდენისა და დუისბურგის შეხვედრაში. თამაშის ბოლო დრეზდენელებმა პენალტი ვერ გაიტანეს და უმალ მეტოქესაც მიეცა პენალტით დარტყმის უფლება, რაც გამოყენებულ იქნა კიდეც. ტურში ორ-ორი ბურთი გაიტანეს „კაიზერსლაუტერნის“ ფეხბურთელმა უვე ფეხსმა, „ფრაიბურგში“ მოთამაშე ალბანელმა რაკლიმ და კარლსრუელმა ებერჰარდ კლარმა.

შოტლანდია

II ტური. 14 აგვისტო. „აბერდინი“ — „კილმარნოკი“ 1:0 (0:0) (კეინი), „სელტიკი“ — „პიბერნიანი“ 1:1 (1:0) (ნიკოლასი; ტვიდი), „დანდი“ — „მოზერუელი“ 1:2 (1:0), „პართს ოვ მიდლოუშენ“ — „რეით როვერსი“ 1:0 (0:0) (რობერტსონი), „პარტიკ თისლი“ — „დანდი იუნაიტედი“ 1:2 (0:1) (კრეიგი; დეილი — 2), „სენტ-ჯონსტონი“ — „გლაზგო რეინჯერსი“ 1:2 (1:1) (რაიტი; გაფი, ფერგიუსონი)

ბოლო ხუთი წლის ჩემპიონმა „რეინჯერსმა“ გოლი მე-3 წუთზე გაუშვა, მაგრამ 45-ე და 49-ე წუთებზე თავადაც გაიტანა და ახლა უდანაკარგოდ და ერთპიროვნულად ლიდერობს. „რეინჯერსის“ მსგავსად „მოზერუელმაც“ სტუმრად მოიგო თამაში, რომელსაც ერთი პირობა აგებდა. გადამწყვეტი ბურთი მაკგრანმა შეაგდო. ტურის „უსწრაფესი“ გოლი გავიდა „აბერდინ“ — „კილმარნოკის“ შეხვედრაში, რომელიც ელექტროგანათების შეწყვეტის გამო დაგვიანებით დაიწყო. სტუმარმა კეინმა მეორე ნახევრის მე-20 წამზე (!) გაიტანა თამაშის ერთადერთი ბურთი.

ინგლისი

I ტური. 14, 15 აგვისტო. „არსენალი“ — „კოვენტრი სიტი“ 0:3 (0:1) (ქუინი — 3), „ასტონ ვილა“ — „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ 4:1 (1:1) (ატკინსონი — 2, სონდერსი — 2; ფურდინანდი), „ჩელსი“ — „ბლეკბერნ როვერსი“ 1:2 (0:0) (პიკოკი; რიპლი, ნიუელი), „ლივერპული“ — „შეფილდ უენსდეი“ 2:0 (1:0) (კლაფი — 2), „მანჩესტერ სიტი“ — „ლიდს იუნაიტედი“ 1:1 (0:0) (ფლიტი; დინი), „ნიუკასლ იუნაიტედი“ — „ტოტენჰემ პოთსპური“ 0:1 (0:1) (შერინგემი), „ოლდჰემ ატლეტიკი“ — „იფსვიჩ თაუნი“ 0:3 (0:2) (მარშალი, პალმერი, მეისონი), „შეფილდ იუნაიტედი“ — „სვინდონ თაუნი“ 3:1 (1:0) (ფოლკნერი, შორი, როჯერსი; მონკერი), „საუთჰემპტონი“ — „ვესტონი“ 0:2 (0:2) (პიფრი, ებროლი), „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ — „უიმბლდონი“ 0:2 (0:0) (ფაშანუ, სანჩესი), „ნორვიჩ სიტი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ 0:2 (0:1) (გიგზი, რობსონი).

წლევანდელიდან იცვლება ლიგის სტრუქტურა. უძლიერესთა ჯგუფი ფეხბურთის ასოციაციის უშუალო დაქვემდებარებაში გადადის, რასაც ჯგუფში გუნდების შემცირება მოყვება ამჟამინდელი 22-დან 18-მდე. შეიცვალა შეჯიბრების სპონსორიც. თუ ბოლო წლებში ინგლისის ჩემპიონატს „ბარკლეის ლიგის“ გთამაშება ერქვა ტურნირის სპონსორის „ბარკლეის ბანკის“ ხათრით, ამიერიდან უძლიერეს ჯგუფს „ფეხბურთის ასოციაციის კარლინგის პირველობა“ ერქმევა. პირველ, მეორე და მესამე ჯგუფებს კი სხვა სპონსორი ეყოლებათ და სახელიც სათანადო ერქვეკათ — „ენსლი ინშუარენს ლიიგ“. „ენსლი ინშუარენსი“ სადაზღვევო ფირმაა.

ჩემპიონატი გამარჯვებით დაიწყო „მანჩესტერ იუნაიტედმა“, რომელმაც სტუმრად, საგანგებოდ საკვირაოდ დანიშნულ თამაშში, თავის შარშანდელ კონკურენტს „ნორვიჩ სიტის“ მოუგო. ჩემპიონებს აკლდათ ფრანგი ვარსკვლავი კანტონა, მაგრამ მის გარეშეც იოლად გავიდნენ და მასპინძლებს ლიგის თამაშებში ზედიზედ მეშვიდედ სძლიეს. გოლები მოედანზე იმ დღეს მყოფთაგან ყველაზე უმცროსმა გიგზმა (25-ე წუთი) და უხუცესმა რობსონმა (57-ე წუთი) გაიტანეს. ტურის სენსაცია „არსენალის“ შინ მარცხი იყო. ამ თამაშში პირველი პეთ-თრიქიც აღინიშნა. იგი წილად ხვდა მიკი ქუინს, რომელიც „კოვენტრიში“ ახალი გადასულია.

საერთოდ, კლუბებში ახლადმიღებულმა მოთამაშეებმა ერთობ ისახელეს თავი. „ლივერპულმა“ „ნოტინგემიდან“ 2 275 000 გირვანქად შეძენილი კლაფის ორი გოლის წყალობით აჯობა „შეფილდ უენსდეის“, რომელსაც უკვე მე-12 წუთზე დანიელი მიოლბიუს უხეშად მოცელვისათვის მცველი პალმერი გაუძევეს. ეს ახალი სეზონის პირველი გაძევებაა. შეფილდის მეორე კლუბმა „იუნაიტედმა“ ასევე „ახალბედა“ ფოლკნერის გოლს შორისა და როჯერსის თითო გოლს მიათვალა და პირველი ჯგუფიდან გადმოსული „სვინდონი“ დაამარცხა. დამარცხდა დანარჩენი ორი დებიუტანტიც: „ვესტ ჰემი“ და „ნიუკასლი“. „ჩელსი“ ახალწვეული პიკოკის გოლით იგებდა, მაგრამ 78-ე წუთზე მეკარე ხარინის შეცდომამ ლონდონელთა მეტოქეს გაამარჯვებინა. „ქუინზ პარკს“ ვერ უშველა ლეს ფერდინანდის შთაგონებულმა თამაშმა, „ასტონ ვილამ“ გოლების უმეტესობა შორიდან გაიტანა. რაც შეეხება ინგლისის 1992 წლის ჩემპიონ „ლიდსს“, იგი 91-ე (!) წუთამდე აგებდა, მაგრამ სამ მილიონად ნაყიდმა დინმა იხსნა. მანამდე ლიდსელებმა ბურთი სამჯერ მოახვედრეს ძელს, ერთი გოლი კი მსაჯმა არ ჩაუთვალთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონატი

სამხრეთ ამერიკა

„ა“ ჯგუფი

კოლუმბია — არგენტინა 2:1, პარაგვაი — პერუ 2:1

კოლუმბია	3	2	1	0	3-1	5
არგენტინა	3	2	0	1	5-3	4
პარაგვაი	3	1	1	1	3-4	3
პერუ	3	0	0	3	1-4	0

მართალია, 33-თამაშიანი წაუგებელი სერიის შემდეგ არგენტინა ბოლოსდაბოლოს დამარცხდა, მაგრამ კვლავაც პირველობის მშვენიერი შანსი რჩება, რაკიღა მეორე წრის ყველა მატჩს შინ გამართავს. არგენტინას ერთადერთი პრობლემა აწუხებს — სამ თამაშში ოთხი მოთამაშე გაუგდეს მოედნიდან. კოლუმბიასთან შეხვედრაში ადრე გაძევებულთა ხვედრი დიეგო სიმეონემაც გაიზიარა.

„ბ“ ჯგუფი

ურუგვაი — ბრაზილია 1:1, ბოლივია — ეკვადორი 1:0

ბოლივია	4	4	0	0	13-2	8
ეკვადორი	4	1	2	1	5-1	4
ბრაზილია	4	1	2	1	6-4	4
ურუგვაი	4	1	2	1	3-4	4
ვენესუელა	4	0	0	4	2-18	0

ბოლივიამ კვლავ მოიგო და ერთპიროვნულად ლიდერობს, მაგრამ მეორე წრეში ოთხიდან სამ თამაშს სტუმრად გამართავს. ბრაზილია, პირიქით, ოთხივე მეტოქეს უმასპინძლებს, რაც ალბათ, პირველ ან მეორე ადგილზე გასვლის გარანტია უნდა იყოს.

მონტევიდეოში ურუგვაი — ბრაზილიის მატჩს 50 ათასი მაყურებელი დაესწრო. შესვენებამდე შუა მოედანი სტუმრებს ეპყრათ ხელთ, რასაც 28-ე წუთზე კუთხურის მოწოდების შემდეგ რაის გოლი მოჰყვა. მეორე ნახევარში ურუგვაიმ, რომელიც გუნდად ივლისიღა შეიკრიბა, იძალა. 70-ე წუთზე ბრაზილიელი როშა მოედნიდან გააძევეს, მე-80 წუთზე კი ფონსეკამ თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა.

მეორე წრის თამაშები ამ კვირასვე, 22 აგვისტოს დაიწყება.

ავსტრალია — კანადა 2:1

კვირას, სიდნეიში, „ფუტბოლ სტეიდიუმზე“ ავსტრალიამ სძლია კანადას და გავიდა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრების შემდგომ ეტაპზე, სადაც სამხრეთი ამერიკის „ა“ ჯგუფში მეორე ადგილზე დარჩენილ გუნდს უნდა შეეცილოს საგაისოდ აშშ-ში ასპარეზობის უფლებას.

შესვენებამდე ავსტრალიას დიდი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ 45-ე წუთზეღა გახსნა ფრენკ ფარინამ ანგარიში. შესვენების შემდეგ კანადელმა ლინდონ ჰუპერმა საპასუხო გოლი გაიტანა, მაგრამ მე-80 წუთზე ჯურაკოვიჩმა მასპინძლები ისევ დაწინაურა 2:1.

თამაშის ძირითადი დრო ამ ანგარიშით დამთავრდა. რაკიღა ორი მატჩის ჯამში ანგარიში 3:3 გამოდიოდა, დაინიშნა დამატებითი დრო, რომლის შემდეგაც სტატუს-ქვო არ დარღვეულა. დაინიშნა პენალტების სერია, რომელშიც პირველნი ავსტრალიელები ურტყამდნენ. მათ დარტყმა არ გასცუდებიათ. სამაგიეროდ, მასპინძლების 20 წლის მეკარემ — მარკ ვორდზოუმ შეძლო ბამპრისა და სვეინის დარტყმების მოგერიება და როცა ავსტრალიელებმა მეოთხე პენალტიც შეაგდეს, სერია შეწყდა — 4:1 გაიმარჯვა ავსტრალიამ.

ფეხბურთის რუკასთან

აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ კაიროში გამოაცხადა, რომ ალჟირი არ დაიშვება აფრიკის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე, რომელიც გაისად მარტში ტუნისში უნდა გაიმართოს. მართალია, იანვარში ალჟირელებმა სენეგალის ძლევით კი მოიპოვეს ფინალის საგზური, მაგრამ როგორც ახლა გაირკვა, ალჟირს უთამაშებია მურად კარუფი, რომელსაც თურმე კიდევ ერთი თამაში უნდა გაეცდინა დისკვალიფიკაციის გამო. ტუნისში ალჟირელთა ნაცვლად სენეგალი იასპარეზებს. სულ ტურნირში 12 გუნდია. მათგან ორი — მასპინძელი ტუნისი და აფრიკის ამჟამინდელი ჩემპიონი — სპილოს ძვლის ნაპირი შერჩევისაგან თავისუფალი იყო.

დაიწყო ჰოლანდიის ჩემპიონატიც. ჩემპიონმა — როტერდამის „ფეინოორდმ“ რომ ვიჩხეს კინგილა გოლის წყალობით ძლივს აჯობა დებიუტანტ „კამბორს“. მეორე ადგილზე გასულმა პსვ-მ სტუმრად „გრონინგენი“ დაამარცხა 2:1, ამსტერდამის „აიაქსმა“ კი „ვალვიკს“ სძლია 3:0. გამარჯვებულთაგან ერთი გოლი გაიტანა ფრანკ რაიკარდმა, რომელიც „მილანში“ ხუთწლიანი მოლვაწეობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა.

ტურინის „იუვენტუსი“ უეფას თასის პირველი წრის თამაშს ევროპული ტურნირების ახალბედას — მოსკოვის „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ გამართავს არა საკუთარ „დელლა ალტის“ სტადიონზე, არამედ შინიდან 300 კილომეტრის მოშორებით, ბოლონიაში. საქმე ისაა, რომ უეფას თასის ბოლო გათამაშების ფინალურ მატჩში დორტმუნდის „ბორუსიის“ წინააღმდეგ „დელლა ალტის“ სტადიონზე შეკრებილი ტურინელი ტიფოზები უგვანოდ მოიქცნენ, რის გამოც ფიფამ ასპარეზს ერთი თამაშით ყადაღა დაადო.

აშშ-ში პროფესიული საფეხბურთო ლიგის შექმნის საქმემ წინ წაიწია მას შემდეგ, რაც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ მისი გაძღოლა ცნობილ ადმინისტრატორს, ბილ სეიჯს დაავალა. სეიჯმა მოღვაწეობა იმის განცხადებით დაიწყო, რომ „ვიდრე არ გვექნება ტელევიზიისა და სპონსორების მხარდაჭერა, ვიდრე არ გვეყოლება მუდმივი მაყურებელი და ვიდრე არ გვექნება საკუთარი და არა ამერიკულ ბურთაობასთან საზიარო სტადიონები, ლიგის ამოქმედების ვადებს ვერ დავადგენთო“. არადა, ამ ხუთი წლის წინ, როცა ფიფამ აშშ-ს უწყალობა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა, თან შეიპირა, რომ ქვეყანაში პროფესიული ლიგა ჩამოეყალიბებინა.

„მილანის“ თავდამსხმელი ჯან-ლუიჯი ლენტინი, რომელიც ორი კვირის წინ გამთენიისას ავტოკატასტროფაში მოჰყვა და ორი დღე კომაში იყო, პარასკევს საავადმყოფოდან გამოეწერა. ლენტინის ტრავმები იმდენად საშიში არ აღმოჩნდა, როგორც მედიკოსები თავიდან ვარაუდობდნენ. გუშინ ლენტინი უნდა გაესინჯა „მილანის“ ექიმს და მსუბუქად ვარჯიშის დაწყების დღეც დაეთქვა.

«დინამო» მზადაა

ცოტაც და დიდი ფეხბურთი ეწვევა თბილისს. მასთან შესახვედრად მთელი საქართველო ემზადება: ვინ ბილეთებზე დარბის, ვინ სტადიონს ამზადებს, ვინ უსაფრთხოებაზე ზრუნავს. ისეთებიც კი არიან, ვინც თამაშს... ბოიკოტს (?!) უცხადებს. რას იზამ, ყველა თავისებურად ელოდება 18 აგვისტოს. ბევრ ზუგდიდელსა და ონამჩირელს ვესაუბრე, მათ შორის სპეციალისტებს, ფეხბურთელებს, გულშემატკივრებს, მათში ბევრი ყოფილი პრეზიდენტის მომხრეც ერია, მაგრამ ყველამ, როგორც ერთმა, მითხრა, რომ 18 აგვისტოს მატჩზე დასწრება მათი ოცნებაა და ისინი არ შეუშინდებიან არც შორ მანძილს, არც თანხას და ოთხშაბათს სტადიონზე მოვლენ, რათა მხარი დაუჭირონ საქართველოს პირველ გუნდს.

ეს დღე, რომელიც დიღმის ბაზაზე გავატარე, ალბათ, ბევრით არ განსხვავდებოდა სხვა დღეებისაგან: ცხრა საათზე ადგომა, საუზმე, თორმეტის ნახევრიდან პირველის ნახევრამდე ვარჯიში, რომელიც ძირითადად უბრთოდ ტარდებოდა. ბურთით მხოლოდ მოთელვა ჩატარდა. როგორც ბატონმა გივი ნოდიამ ამიხსნა, ამას ჰოლანდიურ-გერმანული ტესტი ეწოდება და სპეციალური ფიზიკური მომზადებისთვისაა გამიზნული. ვარჯიშის შემდეგ დასვენება, სადილი. ექვს საათზე თეორიული მომზადება, რომელსაც მთავარი მწვრთნელი ატარებს და შვიდის ნახევარზე მეორე ვარჯიში, რომელიც სამოცდათხუთმეტ წუთს გრძელდება. ორმხრივი თამაში რვა-რვაზე, ვარჯიშის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, სადაც ფეხბურთელები სპეციალურ დავალებებს ასრულებენ. ფეხბურთელები მთელი სერიოზულობით ერკინებიან ერთმანეთს. ვარჯიშის ბოლოს სამწუხარო შემთხვევა მოხდა: რეზო არველაძე და ნემსაძე ისე შეეტაკნენ ერთმანეთს, რომ კარგა ხანს ვერ წამოდგნენ. ნემსაძის ტრავმა არ აღმოჩნდა საშიში, რაც შეეხება რეზო არველაძეს, მან მხოლოდ გუნდის ექიმის, ზაქრო თელიას ჩარევის შემდეგ დასტოვა მინდორი (მეორე დღეს ბატონმა ზაქრომ გვითხრა, რომ რეზო არველაძეს ძვალი მთელი აქვს და წინასწარი გასინჯვის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ 18 აგვისტოს იგი ითამაშებს „ლინფილდთან“).

ასე გავიდა ეს ჩვეულებრივი დღე დიღმის ბაზაზე და დღის ბოლოს ტრადიციულად „დინამოს“ მთავარ მწვრთნელს რამდენიმე შეკითხვა დაუსვეს:

— ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ქართულ-ჩრდილოირლანდიური „ჩენჯი“ არ შედგა. რა იყო ამის მიზეზი?

— სამწუხაროდ, ფორმალური მიზეზების გამო, რომელშიც ძირითადად მოსკოველი ბიუროკრატები არიან დამნაშავენი, ვერ მოხერხდა ჩვენი წარმომადგენლის ბელფასტში ჩასვლა. ამიტომ იძულებულნი ვართ მეტოქის ვარჯიშის ცქერითღა დავკმაყოფილდეთ. 16 და 17 აგვისტოს „ლინფილდი“ თბილისში ივარჯიშებს, სწორედ მაშინ მოგვეცემა საშუალება მეტოქეს შევკვლოთ თვალი და რაღაც წარმოდგენა მაინც შეგვქმნას მასზე. მატჩის პირველივე წუთებში კი გამოჩნდება ყველაფერი, მაშინ დავინახავთ ძალთა თანაფარდობას.

— ეს თამაში პირადად თქვენთვის ბევრს ნიშნავს. ხომ არ ნერვიულობს „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი?

— ჩემი თხუთმეტწლიანი მწვრთნელობის პერიოდში მივეჩვიე, რომელ გუნდშიც არ. უნდა ვყოფილიყავი, არასოდეს შენერვიულა თამაშის წინ, ნერვიულობა თამაშის დროსაც მეყოფა. ეგ არის, უზარმაზარ პასუხისმგებლობას ვგრძნობ გულშემატკივრის წინაშე.

— ბოლო მატჩებში ნემსაძეს მცველის პოსტზე ვხედავთ. არადა „დინამომდე“ იგი საკმაოდ წარმატებით თამაშობდა ნახევარდაცვაში. რამ გამოიწვია ამპლუის შეცვლა?

— ნემსაძე უნივერსალური ფეხბურთელია. ამიტომ გუდის ინტერესებისთვის დავაყენეთ იქ, სადაც ყველაზე მეტად გვჭირდებოდა. ამ ორმა თამაშმა აჩვენა, რომ იგი ძალიან გამოადგება გუნდს.

— ვარჯიშების ბოლოს ბიჭები რჩებიან და კარგა ხანს ურტყამენ პენალტებს. „ლინფილდთან“ მატჩში ვინ დაარტყამს?

— რეზო არველაძე წინ გელა ინალიშვილი. სრულიად შესაძლებელია რომელიმე ეტაპზე პენალტების სერიამ მოგვიწიოს. ამიტომ ყველა დინამოელი ვარჯიშობს პენალტების დარტყმაში.

— „დინამოზე“ ყველა ლაპარაკობს, როგორც ძალიან პერსპექტიულ, ნიჭიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდზე, თქვენ რა აზრის ხართ?

— მე ვთვლი, რომ თბილისის „დინამო“ დღეს, ვიმეორებ, უკვე დღეს არის მაღალი კლასის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ძლიერი გუნდი. ამის შესახებ ბიჭებს პირდაპირ ვეუბარი კიდეც. „დინამო“ უკვე მზადაა სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს ევროპის ნებისმიერ გუნდს.

— ბატონო გივი, ეს ჩვენი ბოლო ინტერვიუა 18 აგვისტომდე. თითქმის ყველაფერზე ვისაუბრეთ, გარდა ჩემის აზრით, უველაზე მთავარისა — გულშემატკივრისა, რას ეტყოდით მატჩის წინ ქართული ფეხბურთის მოყვარულებს?

— ქართველი გულშემატკივარი მუდამ გასებივრებული იყო დიდი ფეხბურთისა და დიდი ფეხბურთელების ცოცხლად ხილვით, მან იცოდა ჭეშმარიტი ფეხბურთის ფასი. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი დღევანდელი გუნდი არ გაუწბილებს მათ არც 18 აგვისტოს და არც მას მერე. ახლა ამ ბიჭებს მხოლოდ ტრიბუნებიდან ქომაგობა სჭირდებათ, დანარჩენს თავად იზამენ და ისევ გახდება ქართველი გულშემატკივარი დიდი ფეხბურთის მომსწრე.

მამუკა კვარაცხელია

ინგლისელი რუსთაველი

რუსებს ასეთი გამოთქმა აქვთ: „ს კორაბლია ნა ბალ“. ალბათ, ასე დაემართა ნუგზარ ლობჟანიძეს, რომელიც რუსთავის „მეტალურგიდან“ თბილისის „დინამოში“ შეიწვიეს და გუნდში მოსვლისთანავე საფრანგეთში გაემგზავრა. როგორც შეხუთე ჩემპიონატის პირველმა ორმა მატჩმა აჩვენა, ახალბედა კარგად შეეწყო გუნდს და თავისი წვლილი შეაქვს დინამოელთა კარის დაცვაში. ნუგზარ ლობჟანიძეს ეტყობა მართლა სწყალობს ბედი, ჩემპიონატის ორიოდე ტურის შემდეგ ჩემპიონთა თასზე უწევს თამაში. თუ ასე გაგრძელდა, მისი ფეხის პატრონი წელს, ალბათ, ჩემპიონთა ლიგაში უნდა მოხვდეს. ზემოთ დამავიწყდა მეთქვა, რომ ნუგზარი ეროვნული ნაკრების წევრია და გუნდთან ერთად უკვე ესპანეთშიც მოასწრო მოგზაურობა.

ნუგზარ ლობჟანიძე

— ნუგზარ, მუდამ ასე გიღიმის ბედი?

— საერთოდ იღბალს არ ვუჩივი. რასაც ჩავიფიქრებდი ცხოვრებაში, მუდამ მისრულდებოდა, თუ მთელ ძალებს მოვიკრებდი, ისე დიდი ნებისყოფა მაქვს. „დინამო“ აუხდენელ ოცნებად მეჩვენებოდა, მაგრამ აქაც გამიმართლა და ძირითადად იმიტომ, რომ მთელი ჩემი ენერგია ჩავქსოვე ფეხბურთში. მიმაჩნია, რომ რაც არ უნდა მოხდეს ჩემს ცხოვრებაში, ყველაფერი უკეთესობისკენ არის მიმართული.

— როგორ შეეწყვე გუნდს?

— მშვენივრად. ისე მაინცდამაინც ბევრი „შეწყობა“ არ დამჭირვებია. ფეხბურთელთა უმრავლესობა ჩემი მეგობრები არიან, ჯამარაულთან ხომ ბავშვობიდან ვმეკაცობ. მთავარი მწვრთნელიც იგივე მყავს, მერაბ ჟორდანიამაც ძალიან თბილად მიმიღო. მოკლედ რატომ უნდა გამჭირვებოდა „დინამოში“?

— უშუალოდ მინდორზე როგორ შეეწყვე „დინამოს“?

— რუსთავში უფრო ხშირად უკანა მცველად ვთამაშობდი. „დინამოში“ ახლა მარცხენა ცენტრალური მცველის ფუნქციებს ვასრულებ და შეჩაბამის ზონას ვაკონტროლებ. რუსთავში ოთხი მცველით ვთამაშობდით, თბილისში — სამით, აქ მეტი დატვირთვა კი გიწევს, მაგრამ ჩვენნაირი ნახევარმცველების პატრონებმა სავსებით შესაძლებელია სამი მცველით ვითამაშოთ. რამდენადაც ვიცი, გუნდის ხელმძღვანელობა ჩემით კმაყოფილია, თანაც ვთვლი, რომ კიდევ შემიძლია მოვუმატო.

— „ჟორდაში“ გივი ნოდიამ განდო ადგილი. მანამდე რომელმა მწვრთნელმა შეიტანა წვლილი შენ ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში?

— თამაში რუსთავის სპორტსკოლაში დავიწყე თამაზ დოდაშვილთან და მურმან გოგოლაძესთან. რუსთავის მეორე გუნდში ვთამაშობდი, შემდეგ ბატონმა გივამ მიმიწვია. იყო პერიოდი, როცა გულიც კი ავიყარე ფეხბურთზე, მაგრამ ისევ ნოდიას ხელშეწყობით დავძლიე წინააღმდეგობა.

— რუსთაველთა წინააღმდეგ არ გაგიჭირდება თამაში?

— მინდორზე ძმაკაცი არ ვიცი. რუსთაველთა წინააღმდეგაც ისევე მთელი თავდადებით ვითამაშებ, როგორ სხვა გუნდებთან. სხვანაირად არ გამოვა.

— ძნელი ხომ არ იქნება შენთვის ქართული გუნდების შემდეგ პირდაპირ „ლინფილდის“ ფორვარდებთან დაჯახება?

— არა, „დინამოში“ რომ ვინმეს ეშინოდეს, ალბათ, მეც გამკრავდა გულში ეჭვი, მაგრამ ახლა შიში არა მაქვს. ესპანეთში და საფრანგეთში ისე შევთამაშდით, ვფიქრობ, „ლინფილდი“ ვერაფერს დაგვაკლებს.

— შენი ბედის ამბავი რომ ვიცი, დანიელებსაც მოვუგებთ.

— ჩემი ოცნება ამ ეტაპზე ჩემპიონთა ლიგაა. ამიტომ დანიელთა დამარცხებაც მოგვიწევს და შემდეგი მეტოქისაც.

მამუკა კვანტალიანი

ჩემპიონთა თასი

წინასწარი ეტაპი. 18 აგვისტო, 1 სექტემბერი

ჰ.ი.კ. — პელსინკი, ფინეთი	ნორმა — ტალინი, ესტონეთი
ეკრანასი — პანევეჟისი, ლიტვა	ფლორიანა — ლა ვალეტა, მალტა
ტოფტირი — ფარერები	კროაცია — ზაგრები, ხორვატია
ქვიმბრან თაუნი — კარდიფი, უელსი	კორკ სიტი — ირლანდია
სკონტო — რიგა, ლატვია	ოლიმპია — ლუბლიანა, სლოვენია
დინამო — თბილისი, საქართველო	ლინფილდი — ბელფასტი, ჩრ. ირლანდია
ავენირი — ბეგენი, ლუქსემბურგი	რუსენბორგი — ტრონჰეიმი, ნორვეგია
პარტიზანი — ტირანა, ალბანეთი	აპრანესი — ისლანდია
ომონია — ნიკოზია, კვიპროსი	არაუ — შვეიცარია
ზიმბრული — კიშინიოვი, მოლდოვა	ბეითარი — იერუსალიმი, ისრაელი

მეთექვსმეტედფინალი. 15, 29 სექტემბერი

გალათასარაი — სტამბოლი, თურქეთი	ქვიმბრან თაუნი — კორკ სიტი
ვერდერი — ბრემენი, გერმანია	დინამო — მინსკი, ბელარუსი
ოლიმპიკი — მარსელი, საფრანგეთი	ა.ე.კ. — ათენი, საბერძნეთი
დინამო — კიევი, უკრაინა	ბარსელონა — ესპანეთი
ჰონვედი — ბუდაპეშტი, უნგრეთი	მანჩესტერ იუნ. — ინგლისი
ა.ი.კ. — სტოკჰოლმი, შვედეთი	სპარტა — პრაღა, ჩეხეთი
რეინჯერსი — გლაზგო, შოტლანდია	ლევსკი 1914 — სოფია, ბულგარეთი
დინამო ლინფილდი	კოპენჰაგენი — დანია
ლეხი — პოზნანი, პოლონეთი	ზიმბრული ბეითარი
ჰ.ი.კ. ნორმა	ანდერლეხტი — ბრიუსელი, ბელგია
პარტიზანი აპრანესი	ფეიენოორდი — როტერდამი, ჰოლანდია
სტიაუა — ბუქარესტი, რუმინეთი	ტოფტირი კროაცია
ავენირი რუსენბორგი	აუსტრია — ვენა, ავსტრია
პორტუ — პორტუგალია	ეკრანასი ფლორიანა
სკონტო ოლიმპია	სპარტაკი — მოსკოვი, რუსეთი
ომონია არაუ	მილანი — იტალია

1993 წლის 26 მაისი. მარსელის „ოლიმპიკის“ მწვრთნელი რაიმონ გუტალსი ფეხბურთელებთან ერთად ზეიმობს ჩემპიონთა თასის მოგებას

უეფას კოეფიციენტების ცხრილი

გთავაზობთ 1987-88 — 1991-92 სეზონებში ევროტურნირებში მონაწილე ქვეყნების კოეფიციენტთა ცხრილს, რომლის მიხედვითაც დადგინდა, თუ რომელი ქვეყანა რამდენ გუნდს გამოიყვანდა უეფას თასის წლევანდელ გათამაშებაში.

1.	იტალია	52 837	4
2.	გერმანია	42 927	4
3.	ესპანეთი	40 266	4
4.	ბელგია	37 633	3
5.	საფრანგეთი	37 250	3
6.	ჰოლანდია	27 500	3
7.	პორტუგალია	27 366	3
8.	რუსეთი	25 666	3
9.	იუგოსლავია	25 516	—
10.	რუმინეთი	24 550	2
11.	ჩეხეთსლოვაკეთი	20 000	2
12.	შოტლანდია	19 750	3
13.	ინგლისი	19 250	2
14.	ავსტრია	18 000	2
15.	დანია	16 665	2
16.	საბერძნეთი	16 500	2
17.	თურქეთი	14 998	2
18.	შვეიცარია	14 750	2
19.	პოლონეთი	12 166	—
20.	შვედეთი	12 100	2
21.	უნგრეთი	11 500	2
22.	ბულგარეთი	10 416	1
23.	ფინეთი	9 999	1
24.	უელსი	9 000	—
25.	ალბანეთი	7 666	—
26.	ისლანდია	5 000	1
27.	ნორვეგია	4 999	1
28.	კვიპროსი	4 000	1
29.	ჩრდ. ირლანდია	3 332	1
30.	ირლანდია	2 665	1
31.	მალტა	1 999	1
32.	ლუქსემბურგი	1 665	1

შენიშვნა: წლევანდელ გათამაშებაში უეფამ არ დაუშვა იუგოსლავიის, ალბანეთისა და უელსის გუნდები. პოლონეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში მომხდარი კორუფციის ფაქტების გამო იგივე ბედი ეწია პოლონეთის გუნდებსაც, რომელთა ერთი ადგილიც შოტლანდიის „ჰარტსს“ გადაეცა.

ჩემპიონთა თასის ბოლო გათამაშების საუკეთესო ბომბარდირი, ბრაზილიელი რომარიო (პ.ს.ვ. — 7 გოლი)

თასების მფლობელთა თასი

წინასწარი ეტაპი. 18 აგვისტო, 1 სექტემბერი

(1) „კარპატი“ (ლვოვი, უკრაინა) — „შელბურნი“ (დუბლინი, ირლანდია)
(2) რიგა (ელგავა, ლატვია) — ჰბ-36 (ტორსხავნი, ფარერი)
(3) „სლიმა უონდერერსი“ (სლიმა, მალტა) — „დეგერფორსი“ (შვედეთი)
(4) „აპოელი“ (ნიკოზია, კვიპროსი) — „ბანგორ სიტი“ (ჩრდ. ირლანდია)
(5) „დუდელანჟი“ (ლუქსემბურგი) — „მაკაბი“ (ხაიფა, ისრაელი)
(6) „ვალიური“ (რეიკიავიკი, ისლანდია) — „მიუბა 47“ (ანიალანკოსი,ფინეთი)
(7) „ალბპეტროლი“ (ტირანა, ალბანეთი) — „ბალცერსი“ (ლინხტენშტეინი)
(8) „ნიკოლი“ (ტალინი, ესტონეთი) — „ლილესტრიომი“ (ოსლო, ნორვეგია)
(9) „კოშიცე“ (სლოვაკეთი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი, ლიტვა)
(10) „ლუგანო“ (შვეიცარია) — „ნემანი“ (გროდნო, ბელარუსი)
(11) „ოდენსე“ (დანია) — „პუბლიკუმი“ (ცელე, სლოვენია)

მეთექვსმეტედფინალი. 15, 29 სექტემბერი

ცსკა (სოფია, ბულგარეთი) — (7) წყვილში მოგებული
„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — (10) წყვილში მოგებული
„ტორპედო“ (მოსკოვი, რუსეთი) — (5) წყვილში მოგებული
„ბეშიქთაში“ (სტამბული, თურქეთი) — (9) წყვილში მოგებული
„პანათინაიკოსი“ (ათენი, საბერძნეთი) — (1) წყვილში მოგებული
(11) წყვილში მოგებული — „არსენალი“ (ლონდონი, ინგლისი)
„უნივერსიტატია“ (კრაიოვა, რუმინეთი) — (2) წყვილში მოგებული
„ვაკერი“ (ინსბრუკი, ავსტრია) — „ფერენცვაროში“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი)
„სტანდარდი“ (ლიეჟი, ბელგია) — „კარდიფ სიტი“ (უელსი)
(4) წყვილში მოგებული — „პარი სენ ჟერმენი“ (პარიზი, საფრანგეთი)
„ჰაიდუკი“ (სპლიტი, ხორვატია) — „აიაქსი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია)
(8) წყვილში მოგებული — „ტორინო“ (ტურინი, იტალია)
„ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია) — გკს (კატოვიცე, პოლონეთი)
„ბაიერი“ (ლევერკუზენი, გერმანია) — „ბობი“ (ბრნო, ჩეხეთი)
(3) წყვილში მოგებული — „პარმა“ (იტალია)
(6) წყვილში მოგებული — „აბერდინი“ (შოტლანდია)

უეფას თასი

ოცდამეთორმეტედფინალი. 15, 29 სექტემბერი

„ტვენტე“ (ენსხედე, ჰოლანდია) — „ბაიერნი“ (მიუნხენი, გერმანია)
„ბოჰემიანსი“ (დუბლინი, ირლანდია) — „ჟირონდა“ (ბორდო, საფრანგეთი)
„სელტიკი“ (გლაზგო, შოტლანდია) — „იანგ ბოიზი“ (ბერნი, შვეიცარია)
„ოლბორგი“ (დანია) — „დეპორტივო“ (ლა კორუნია, ესპანეთი)
„ნორვიჩ სიტი“ (ინგლისი) — „ვიტესი“ (არნემი, ჰოლანდია)
„ჰართს ოვ მიდლოშენ“ (ედინბურგი, შოტლანდია)—„ატლეტიკო“ (მადრიდი,ესპანეთი)
„სლავია“ (პრაღა, ჩეხეთი) — ოფი (ირაკლიონი, საბერძნეთი)
„ბოავიშტა“ (პორტუ, პორტუგალია) — „უს ლუქსემბურგი“ (ლუქსემბურგი)
„ნორჩეპინგი“ (შვედეთი) — „მეხელენი“ (ბელგია)
„ნანტი“ (საფრანგეთი) — „ვალენსია“ (ესპანეთი)
„კარლსრუე“ (გერმანია) — ჰ.ს.ვ. (ეინდჰოვენი, ჰოლანდია)
„რეიკიავიკი“ (ისლანდია) — მ.ტ.კ. (ბუდაპეშტი, უნგრეთი)
„დინამო“ (მოსკოვი, რუსეთი) — „აინტრახტი“ (მაინის ფრანკფურტი, გერმანია)
„კუუსუსი“ (ლახტი, ფინეთი) — „ვარეგემი“ (ბელგია)
„კრუზეიდერსი“ (ბელფასტი, ჩრდ. ირლანდია) — „სერვეტი“ (ჟენევა, შვეიცარია)
„დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია) — „ბრონდბიუ“ (კოპენჰაგენი, დანია)
„სლოვანი“ (ბრატისლავა, სლოვაკეთი) — „ასტონ ვილა“ (ბირმინგემი, ინგლისი)
„ბორუსია“ (დორტმუნდი, გერმანია) — „სპარტაკი“ (ვლადიკავკაზი, რუსეთი)
„ლაციო“ (რომი, იტალია) — „ლოკომოტივი“ (პლოვდივი, ბულგარეთი)
„ესტერი“ (ვეკშე, შვედეთი) — „კონგსვინგერი“ (ნორვეგია)
„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი, უკრაინა) — „ადმირა-ვაკერი“ (ვენა, ავსტრია)
„რაპიდი“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „ინტერი“ (მილანი, იტალია)
„ბოტევი“ (პლოვდივი, ბულგარეთი) — „ოლიმპიაკოსი“ (პირეოსი, საბერძნეთი)
„ვაც-სმირნოფი“ (ვაცი, უნგრეთი) — „აპოლონი“ (ლიმასოლი, კვიპროსი)
„სპორტინგი“ (ლისაბონი, პორტუგალია) — „ჭოჯაელისფორი“ (სტამბოლი, თურქეთი)
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი, რუსეთი) — „იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია)
„კაზინო“ (ზალცბურგი, ავსტრია) — დ.ა.კ. (დუნაისკა სტრედა, სლოვაკეთი)
„გლორია“ (ბისტრიცა, რუმინეთი) — „ბრანიკი“ (მარიბორი, სლოვენია)
„ტენერიფე“ (ესპანეთი) — „მონაკო“ (საფრანგეთი)
„ანტვერპენი“ (ბელგია) — „მარიტიმუ“ (ფუნშალი, პორტუგალია)
„ტრაბზონსფორი“ (თურქეთი) — „ლა ვალეტა“ (მალტა)
„დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „კალიარი“ (იტალია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დინამო“ ევროტურნირებში

21 წლის წინ, 1972 წლის 13 სექტემბერს, 19 საათზე, ბერძენი არბიტრის ე. პაპაკასილიუს სასტვენის ხმაზე დაიწყო მატჩი, რომელიც ქართული ფეხბურთის ისტორიაში შევიდა, როგორც თბილისის „დინამოს“ მიერ ევროპულ საკლუბო ტურნირებში ჩატარებული პირველი შეხვედრა.

დინამოელებმა მონაწილეობა მიიღეს სამივე ტურნირის 10 გათამაშებაში, სადაც ჩაატარეს 51 შეხვედრა: მოიგეს 25, ფრედ დამთავრეს 8 და წააგეს 18 მატჩი. ბურთების სხვაობაა 76-57.

შეხვედრათა ბალანსი ცალკეულ ტურნირის მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

	გათამაშება	თ	მ	ფ	ნ	ბ
ჩთ	1	4	1	0	3	7-8
თთ	3	21	11	3	7	30-17
უთ	6	26	13	5	8	39-32

„დინამომ“ 25 მატჩი ჩაატარა შინ, ასეევ 25 გასვლითი მატჩი ევროპის 17 ქვეყნის 22 ქალაქის (ვინაიდან თბილისელებს ორჯერ უმასპინძლა სოფიამ, ლონდონმა და ნეაპოლმა) 23 სტადიონზე (სოფიის ვასილ ლევსკის სახელობის და ნეაპოლის სან-პაოლოს სტადიონებმა ორ-ორჯერ უმასპინძლეს დინამოელებს), ხოლო ერთი მატჩი გაიმართა ნეიტრალურ ქვეყანაში — გფრ-ის ქალაქ დიუსელდორფში (ჩვენი მაშინდელი მეტოქე ყოფილი გდრ-ის ქალაქ იენას „კარლ-ცაისი“ 9 წლის შემდეგ გაერთიანებულ გერმანიაში და ფაქტიურად მატჩი „დინამომ“ გასვლაზე ითამაშა).

საკუთარ, გასვლით და ნეიტრალურ მოედნებზე დინამოელთა შედეგები მოყვანილია ცხრილში:

		თ	მ	ფ	ნ	ბ
შინ		25	17	4	4	47-17
სტუმრად		25	7	4	14	27-39
ნეიტრალურზე		1	1	0	0	2-1
ტურნირების მიხედვით						
ჩთ	შინ	2	1	0	1	5-3
	სტუმრად	2	0	0	2	2-5
თთ	შინ	10	7	0	3	19-17
	სტუმრად	10	3	3	4	9-9
	ნეიტრალურზე	1	1	0	0	2-1
უთ	შინ	13	9	4	0	23-7
	სტუმრად	13	4	1	8	16-25

51 მატჩში თბილისელთა მეტოქე 18 ქვეყნის 25 კლუბი იყო. (ჩვენები ორჯერ შეხვდნენ იტალიის „ნაპოლის“). მათი შედეგები ცალკეულ ქვეყნებთან ასეთია:

	თ	მ	ფ	ნ	ბ
იტალია	6	3	2	1	6-3
ინგლისი	6	2	1	3	10-10
გფრ	6	1	1	4	6-11
პოლანდია	4	2	0	2	6-6
ბულგარეთი	4	2	0	2	8-6
იუგოსლავია	2	2	0	0	8-1
დანია	2	2	0	0	6-2
ირლანდია	2	2	0	0	5-0
პოლონეთი	2	2	0	0	2-0
საბერძნეთი	2	1	1	0	2-0
ავსტრია	2	1	1	0	4-2
საფრანგეთი	2	1	1	0	4-2
რუმინეთი	2	1	1	0	2-1
უელსი	2	1	0	1	3-1
შვეიცარია	2	1	0	1	1-4
ბელგია	2	0	0	2	0-2
უნგრეთი	2	0	0	2	1-5
გდრ	1	1	0	0	2-1

„დინამოს“ დადებითი ბალანსი აქვს 12 ქვეყანასთან (ორთან ბურთების უკეთესი სხვაობით), უარყოფითი — 5-თან (ერთთან ბურთების უარესი სხვაობით), ხოლო პოლანდიასთან — თანაბარი. თბილისელებმა ვერც ერთხელ ვერ გადალახეს დასავლეთ-გერმანული ბარიერი — სამივეჯერ ჩვენი მეტოქენი გავიდნენ შემდეგ წრეში. მიუხედავად ინგლისის კლუბებთან საერთო უარყოფითი ბალანსისა, 3-დან ორჯერ „დინამო“ გავიდა შემდეგ ეტაპზე, ისევე როგორც იტალიელებთან. წარმატებით იქნა დაძლეული ბულგარული ბარიერი ორივეჯერ, ხოლო პოლანდიელებთან ამ მხრივაც საყაიმო ანგარიშია. დანარჩენ ქვეყნებთან თუ როგორაა მდგომარეობა ამ მხრივ, ცხრილიდანაც ჩანს კომენტარის გარეშე.

ორმატჩიან ორთაბრძოლებში თბილისელებმა გაიმარჯვეს 16-ჯერ (ერთხელ ჩემპიონთა თასზე, რვაჯერ — თასების მფლობელთა თასზე, შვიდჯერ — უეფა-ს თასზე), ხოლო დამარცხდნენ 9-ჯერ (ერთხელ ჩემპიონთა თასზე, ორჯერ — თასების მფლობელთა თასზე, ექვსჯერ — უეფა-ს თასზე).

ევროპულ ტურნირებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუ სად ატარებს გუნდი პირველ შეხვედრას — შინ თუ გასვლაზე. საერთოდ მიჩნეულია და პრაქტიკულადაც დამტკიცებულია, რომ ის გუნდი, რომელიც პირველ მატჩს გასვლაზე თამაშობს, უფრო ხელსაყრელ პირობებშია, ამას ადასტურებს თბილისის „დინამოს“ შედეგებიც. ჩვენებმა პირველი შეხვედრა შინ ჩაატარეს 11-ჯერ (5-ჯერ „დინამო“ გავიდა შემდეგ წრეში, 6-ჯერ — მათი მეტოქეები), ხოლო სტუმრად — 14-ჯერ (11-ჯერ „დინამო“ გავიდა შემდეგ ეტაპზე, მხოლოდ — სამჯერ მეტოქე).

29 მატჩში დინამოელებმა გახსნეს ანგარიში (გაიმარჯვეს 23 მატჩში, ფრედ დამთავრეს 4 და წააგეს 2 (ორივე „ჰამბურგთან“)), 19-ში მეტოქეებმა (2 მატჩი მოიგეს თბილისელებმა — „ტვენტესთან“ და „კარლ-ცაისთან“, 1 დაამთავრეს ფრედ და წააგეს 16), ხოლო სამი შეხვედრა დამთავრდა უშედეგოდ. ზემოთმოყვანილიდან ჩანს, რომ დინამოელთათვის მატჩში ანგარიშის გახსნა ფაქტიურად წარმატების გარანტი იყო.

პირველი და მეორე ტაიმები ჩვენმა ფეხბურთელებმა თითქმის თანაბრად ჩაატარეს. პირველი ტაიმის მიხედვით მათ ასეთი შედეგები ჰქონდათ: 18 მოგება, 21 ფრე, 12 წაგება, ბურთების სხვაობა 33-20, ხოლო მეორე ტაიმში — 21 მოგება, 14 ფრე, 16 წაგება, ბურთების სხვაობა 43-37.

დინამოელთა მიერ ჩატარებული მატჩების ანალიზიდან ჩანს, რომ მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირველი ტაიმის შედეგს. იმ შეხვედრებში, რომლებშიც თბილისელებმა მოიგეს პირველი ტაიმი, მოგებულ იქნა 16 მატჩი და მხოლოდ ორი დამთავრდა ფრედ. იმ მატჩებში, რომლის პირველი ტაიმი ფრედ დამთავრდა, ჩვენმა გუნდმა მცირე უპირატესობას მიაღწია — 9 მოგება, 5 ფრე, 7 წაგება. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა წაგებულ იქნა პირველი ტაიმი, ძალიან არასასიამოვნო შედეგია: არცერთი მოგება, 1 ფრე, 11 წაგება.

51 მატჩში აღინიშნა 12 სხვადასხვა ანგარიში, მათ შორის ყველაზე პოპულარულები იყო: 1:0 — 12 მატჩში (6-ში გაიმარჯვეს თბილისელებმა), 2:0 — 7-ში (3 მოგება), 2:1 — 6-ში (4 მოგება), 3:0 — 5-ში (ხუთივე მოგება).

დიდი ანგარიშით „დინამომ“ გაიმარჯვა 10 შეხვედრაში, მათ შორის სამში — სტუმრად, ხოლო მარცხი განიცადა სამში (ერთი — შინ).

ჩვენებმა უდიდესი ანგარიშით გაიმარჯვეს ბელგრადის ოფკ-სთან 5:1 (სტუმრად) და „უოტერფორდთან“ 4:0, ყველაზე მწარე მარცხი იგემეს კი ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურისაგან“ 1:5 და ციურიხის „გრასჰოპერსისაგან“ 0:4.

ზედიზედ 7 მატჩში „დინამოს“ არ წაუგია არცერთი შეხვედრა (1981 წლის 22 აპრილს „ფეინოორდთან“ წაგების შემდეგ დამარცხდნენ 1982 წლის 7 აპრილს „სტანდარდთან“), მაშინ როცა ზედიზედ 3 მატჩზე მეტი არ ჩაუტარებიათ მოუგებლად.

თბილისში ჩატარებულ 25 შეხვედრას დაესწრო 1 753 850 მაყურებელი, რაც საშუალოდ ერთ მატჩზე შეადგენს 70 154 კაცს, რაც ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია ევროპულ ტურნირებზე. „ლოკომოტივის“ სტადიონზე ჩატარებულ 4 მატჩს დაესწრო 125 000 მაყურებელი (საშუალოდ 31 250), ხოლო „დინამოს“ სტადიონზე ჩატარებულ 21 შეხვედრას — 1 628 850 (საშუალოდ 77 564). ტურნირების მიხედვით დასწრების მაჩვენებლები ასეთი იყო:

	მატჩი	მაყურებ.	საშუალოდ
ჩთ	2	180 000	90 000
თთ	10	788 300	78 830
უთ	13	785 550	60 427

ყველაზე მეტი — 90-90 ათასი მაყურებელი დაესწრო დინამოელთა მატჩებს „ლიეერპულთან“, „ჰამბურგთან“ (ჩემპიონთა თასზე) და „ვესტ ჰემ იუნაიტედთან“ (თასების მფლობელთა თასზე). ყველაზე ცოტა — 20 000 „სლავიასთან“ (უეფა-ს თასზე, „ლოკომოტივის“ სტადიონზე). სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია ზოგიერთ გასვლით მატჩზე დასწრების რაოდენობა, რის გამოც ვერ გთავაზობთ ამომწურავ სტატისტიკას.

„დინამოს“ მიერ ჩატარებულ მატჩებს მოემსახურა 25 ქვეყნის 45 არბიტრი. 3-3 მატჩი ჩაატარეს ცნობილმა მსაჯებმა ვ. ეშვაილერმა (გფრ) და ფ. ვიორერმა (ავსტრია), 2-2 — ნ. სლატონასმა (საბერძნეთი), კ. მათსონმა (უინეთი). 4-4 არბიტრი იყო ავსტრიიდან, საფრანგეთიდან, გფრ-დან, 3-3 — იუგოსლავიიდან, ესპანეთიდან, შვედეთიდან. ყველაზე მეტი — 6-6 მატჩი იმსაჯეს ავსტრიელმა და დასავლეთ გერმანელმა არბიტრებმა, 4 — ფრანგებმა. თბილისელები საუკეთესო შედეგს აღწევდნენ, თუ მინდორზე იყვნენ ბულგარელი (ორივე მოგება, თანაც დიდი ანგარიშით), ფინელი (2 მოგება, 1 ფრე) და შვედი (2 მოგება, 1 ფრე) არბიტრები. ცუდი შედეგები აქვთ ფრანგი (1 ფრე, 3 წაგება), ესპანელი (1 ფრე, 2 წაგება), იუგოსლავი (1 მოგება, 2 წაგება) და დასავლეთ-გერმანელი (2 მოგება, 1 ფრე, 3 წაგება) მსაჯების მონაწილეობით ჩატარებულ მატჩებში.

25 მეტოქე გუნდიდან 8 სხვადასხვა დროს ფლობდა ევროპის სამივე საკლუბო ტურნირის პრიზებს:

ჩემპიონთა თასს — „ლიეერპული“ — 4-ჯერ, „ინტერნაციონალე“ — 2-ჯერ, „ფეინოორდი“, „ჰამბურგი“ — თითოჯერ; თასების მფლობელთა თასს — „ტოტენჰემ ჰოტსპური“, „ესტ ჰემი“, „ჰამბურგი“, „ვერდერი“; უეფა-ს თასს — „ტოტენჰემ ჰოტსპური“ (2-ჯერ), „ლიეერპული“ (2-ჯერ); „ფეინოორდი“, „ნაპოლი“, „ინტერნაციონალე“; აგრეთვე სუპერთასს — „ლიეერპული“ და საკონტინენტთაშორისო თასს — „ინტერნაციონალე“ (2-ჯერ), „ფეიენოორდი“. მათგან დინამოელებმა ორრაუნდიან ორთაბრძოლებში დაამარცხეს 4 ტიტულოვანი მოწინააღმდეგე, ხოლო თვითონ დამარცხდნენ სამთან. რაც შეეხება „ნაპოლის“, „დინამომ“ ერთხელ შეძლო მისი დამარცხება, ხოლო მეორედ იტალიელებმა აიღეს რევანში.

51 მატჩში თბილისელთაგან მონაწილეობა მიიღო 51-მა ფეხბურთელმა. ეი ისინიც:

ალექსანდრე ჩივაძე — 40 მატჩი (36 მატჩი შეუცვლელად) — 3361 წუთი; რამაზ შენგელია — 38 (28) — 3043; დავით ყიფიანი — 35 (29) — 3031; ვლადიმერ გუცაევი — 34 (28) — 2819; ოთარ გაბელია — 32 (32) — 2880; შოთა ხინჩაგიშვილი — 32 (30) — 2767; ვიტალი დარასელია — 32 (29) — 2703; თენგიზ სულაქველიძე — 30 (25) — 2457; მანუჩარ მაჩაიძე — 26 (26) — 2340; ნოდარ ხიზანიშვილი — 22 (20) — 1844; დავით მუჯირი — 20 (16) — 1608. დავით გოგია — 19 (19) — 1710; ფირუზ კანთელაძე — 18 (17) — 1577; თამაზ კოსტავა — 17 (17) — 1530; ზაურ სვანაძე — 17 (11) — 1318; ვახტანგ ქორიძე — 16 (12) — 1295; რევაზ ჩელებაძე — 14 (5) — 798; გოჩა მაჩაიძე — 12 (7) — 931; გია თავაძე — 11 (9) — 829; ნუკრი კაკილაშვილი — 11 (5) — 704; ზორბეგ ებრალიძე — 10 (8) — 859; კახი ასათიანი — 8 (8) — 720; ვახტანგ ჭელიძე — 8 (7) — 705; გივი ნოდია — 8 (7) — 690; ლევან ნოდია — 8 (4) — 484; რევაზ ძოძუაშვილი — 7 (7) — 630; ზურაბ წერეთელი — 7 (2) — 306; ანრიკ ცვეიბა — 6 (6) — 540; სოსო ჭედია — 6 (5) — 524; ზაზა რევიშვილი — 6 (5) — 517; მურთაზ ხურწილავა — 6 (5) — 493; გია გურული — 6 (3) — 442; ვახტანგ კოპალეიშვილი — 6 (4) — 414; გიორგი ჭილაია — 6 (3) — 413; ოთარ კორღალიძე — 6 (3) — 406; ვაჟა უვანია — 6 (1) — 371; გელა კეტაშვილი — 5 (5) — 450; მალხაზ არზიანი — 4 (3) — 436; გრიგოლ ცაავა — 4 (2) — 263; გონა გავაშელი — 4 (2) — 212; თემურ ქვაცხავა — 4 (0) — 121; მიხეილ მესხიშვილი — 3 (1) — 180; მამუკა ფანცულაია — 3 (1) — 116; გოჩა ჯობაძე — 3 (0) — 76; გურამ პეტრიაშვილი — 2 (1) — 168; გურამ აჯოევი — 2 (0) — 97; დავით პაიკიძე — 1 (1) — 90; ამირან ანდღულაძე — 1 (0) — 78; ტარიელ დვალიშვილი — 1 (0) — 45; კონსტანტინე კერესელიძე — 1 (0) — 27; გურამ ჩქარეული — 1 (0) — 13.

29 მატჩი ზედიზედ შეუცვლელად ჩაატარა დინამოელთა გოლკიპერმა ოთარ გაბელიამ, 26 — მანუჩარ მაჩაიძემ, 21 — ალექსანდრე ჩივაძემ, 18 — თენგიზ სულაქველიძემ. ალექსანდრე ჩივაძემ შეცვლებით ზედიზედ 38 შეხვედრა ითამაშა. იმ 11 ფეხბურთელიდან, რომლებმაც ყველაზე მეტი მატჩი ითამაშეს „დინამოს“ შემადგენლობაში, მეტად ორიგინალური სიმბოლური გუნდი გამოდის: გაბელია — ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგიშვილი, მუჯირი — დარასელია, მ. მაჩაიძე, სულაქველიძე — გუცაევი, ყიფიანი, შენგელია. ამათგან რვამ დიუსელდორფის ფინალშიც ითამაშა.

მეტოქეთა კარში გატანილი 76 გოლის ავტორია 21 ფეხბურთელი: რ. შენგელია — 19 გოლი (საშუალოდ 0,50 გოლი), დ. ყიფიანი — 10 (0,28), ვ. გუცაევი — 8 (0,24). თ. სულაქველიძე — 6 (0,2), ა. ჩივაძე — 6 (0,15), გ. ნოდია — 5 (0,62), ვ. დარასელია — 4 (0,13), რ. ჩელებაძე — 3 (0,21). 2-2 გოლი გაიტანეს ლ. ნოდიამ და მ. მაჩაიძემ, თითო — გ. გავაშელმა, ვ. ჭელიძემ, ზ. წერეთელმა, კ. ასათიანმა, ზ. ებრალიძემ, ფ. კანთელაძემ, გ. ჭილაიამ, ვ. უვანიამ, ნ. ხიზანიშვილმა, გ. გურულმა, ს. ჭედიამ. 4 გოლი „დინამომ“ პენალტით გაიტანა: რ. შენგელიამ 2, ა. ჩივაძემ, ფ. კანთელაძემ — თითო.

ო. გაბელიამ 32 მატჩში 33 გოლი გაუშვა (საშუალოდ 1,03), დ. გოგიამ — 19 შეხვედრაში 24 გოლი (საშუალოდ 1,26). ო. გაბელიამ საკუთარი კარი უგოლოდ დაიცვა 12 მატჩში, დ. გოგიამ — 6-ში.

თბილისელთა მხრიდან 3-3 გოლი გატანილ იქნა მატჩის მე-5, მე-20 (სამივე რ. შენგელიამ), 23-ე, 30-ე, 75-ე წუთებზე. თუ მატჩის 90 წუთს დავყოფთ 5 წუთიან მონაკვეთებად, მივიღებთ, რომ ჩვენი ფეხბურთელები ყველაზე აგრესიულები იყვნენ შემდეგ პერიოდებში: 71-75 წთ — 10 გოლი, 51-55 წთ — 8 გოლი, 31-35 და 76-80 წთ — 6-6 გოლი, 21-25 და 56-60 წთ — 5-5 გოლი. ნაკლებად შედეგიანები იყვნენ: 11-15 წთ — 1 გოლი, 46-50 წთ — 2 გოლი. ყველაზე „სნრაფი“ გოლი გაიტანა ს. ჭედიამ — მატჩის მე-3 წუთზე (რუმინეთის „ვიქტორიასთან“ გასვლით მატჩში), ხოლო ყველაზე „გვიანი“ — მ. მაჩაიძემ, მატჩის 89-ე წუთზე (უნგრეთის მტკ-სთან მატჩში).

„პეთ-თრიქის“ გაკეთება ევროტურნირებში დინამოელთაგან ვერ შეძლო. 2-2 გოლი ერთ მატჩში გაიტანეს რ. შენგელიამ (3-ჯერ), გ. ნოდიამ, დ. ყიფიანმა, რ. ჩელებაძემ. ვ. დარასელიამ და თ. სულაქველიძემ — თითოჯერ.

თბილისელთა კარში გატანილი 57 ბურთი (მათ შორის 7 პენალტი) მოდის 47 ფეხბურთელზე (მათ შორის ერთი ბურთი დინამოელებმა საკუთარ კარში გაიტანეს). 3 ბურთი გაგვიტანა იორინგმა („ტვენტე“), 2-2 — ნოტენმა („ტვენტე“, „ფეიენოორდი“), ჩივერსმა, პიტერსმა („ტოტენჰემ ჰოტსპური“), ტაკაჩმა (მტკ), პონტემ („გრასჰოპერსი“), კიგანმა („ჰამბურგი“), მილამ („ბასტია“), დაარდენმა („სტანდარდი“). 76-80 წთ მონაკვეთში „დინამომ“ გაუშვა 7 გოლი, 61-65 და 86-90 წთ — 6-6 გოლი, 41-45 წთ — 5 გოლი. გამოდის, რომ ჩვენი გუნდი ტაიმების მინურულს უფრო ინერტულად თამაშობდა. დინამოელებმა ყველაზე „სნრაფი“ გოლი მიიღეს მატჩის მე-3 წუთზე ნოიბარტისაგან („ვერდერი“), ხოლო ყველაზე „გვიანი“ — მატჩის 89-ე წუთზე კორიტარისგან (მტკ) და მილასაგან („ბასტია“). „დინამოს“ კარში ერთ მატჩში სამი გოლის გატანა ვერავინ შეძლო, ხოლო 2-2 გოლი გაიტანეს იორინგმა („ტვენტე“), ჩივერსმა, პიტერსმა („ტოტენჰემი“), ტაკაჩმა (მტკ) და პონტემ („გრასჰოპერსი“).

51 დინამოელიდან 22-მა მიიღო 36 ყვითელი და 2 წითელი ბარათი. გაძევებულ იქნენ შ. ხინჩაგაშვილი და მ. არზიანი. ოთხი გაფრთხილება მიეცა თ. სულაქველიძეს, 3-3 — ფ. კანთელაძეს, ვ. გუცაევს, 2-2 — გ. მაჩაიძეს, შ. ხინჩაგიშვილს, დ. ყიფიანს, ო. გაბელიას, ვ. დარასელიას, ა. ჩივაძეს, რ. შენგელიას, ა. ცვეიბას. კიდევ 10-მა მოთამაშემ მიიღო თითო ყვითელი ბარათი.

ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა 38 ყვითელი ბარათი დაიმსახურეს. ოთხმა მიიღო 2-2 გაფრთხილება: ვინაანმ, ჩელსტინიმ (ორივე „ნაპოლი“), ტოპოლინსკიმ და კომენესკუმ (ორივე „ვიქტორია“). „ნაპოლიმ“ „დინამოსთან“ გამართულ 4 მატჩში 7 ყვითელი ბარათი მიიღო, „ვიქტორიამ“ 2 მატჩში — 6.

თბილისის „დინამოს“ თვეების მიხედვით ასეთი შედეგები აქვს:

	თ	მ	ფ	ნ	ბ
სექტემბერი	18	8	4	6	25-18
ოქტომბერი	10	6	1	3	18-12
ნოემბერი	11	6	2	3	20-10
დეკემბერი	3	0	1	2	2-10
მარტი	4	3	0	1	6-2
აპრილი	4	1	0	3	3-4
მაისი	1	1	0	0	2-1

თბილისის „დინამომ“ თავისი პირველი მატჩი ევროპულ ტურნირზე გამართა 13 სექტემბერს, 9 წლის შემდეგ ასევე 13 რიცხვში, ოღონდ მაისში, თავისს რიგით 35-ე მატჩში, გუნდმა ერთადერთი პრიზი — თასების მფლობელთა თასი მოიპოვა. ახლა გუნდს 51 მატჩი აქვს ჩატარებული. ისტორიული კანონზომიერება“ მოითხოვს, რომ 19 მატჩის შემდეგ, ე.ი. რიგით 70-ე მატჩში, „დინამომ“ ეს წარმატება გაიმეოროს, ეს კი მაქსიმუმ ექვს წელიწადში უნდა მოხდეს.

რევაზ შენგელია

„დინამო“ ევროპულ ტურნირებში

1972-73	უთ	1/32	„დინამო“ — „ტვენტე“	ენსხედე, პოლანდია	3:2,	0:2
1973-74	უთ	1/32	„დინამო“ — „ლავია“	სოფია, ბულგარეთი	4:1,	0:2
		1/16	„დინამო“ — ო.ფ.კ.	ბელგრადი, იუგოსლავია	3:0,	5:1
		1/8	„დინამო“ — „ტოტენჰემ	ჰოთსპური“ ლონდონი	1:1,	1:5
1976-77	თთ	1/16	„კარდიფ სიტი“	უელსი — „დინამო“	1:0,	0:3
		1/8	„დინამო“ — მ.ტ.კ.	ბუდაპეშტი, უნგრეთი	1:4,	0:1
1977-78	უთ	1/32	„ინტერი“ მილანი,	იტალია — „დინამო“	0:1,	0:0
		1/16	„ბ.კ. კოპენჰაგენი“	დანია — „დინამო“	1:4,	1:2
		1/8	„დინამო“ — „გრასჰოპერსი“	ციურიხი, შვეიცარ.	1:0,	0:4
1978-79	უთ	1/32	„დინამო“ — „ნაპოლი“	იტალია	2:0,	1:1
		1/16	„პერტა“ დას.	ბერლინი — „დინამო“	2:0,	0:1
1979-80	ჩთ	1/16	„ლიეერპული“	ინგლისი — „დინამო“	2:1,	0:3
		1/8	„ჰამბურგი“	გფრ — „დინამო“	3:1,	3:2
1980-81	თთ	1/16	„კასტორია“	საბერძნეთი — „დინამო“	0:0,	0:2
		1/8	„უოტერფორდი“	ირლანდია — „დინამო“	0:1,	0:4
		1/4	„ვესტ ჰემ	იუნაიტედი“ ლონდონი — „დინამო“	1:4,	1:0
		1/2	„დინამო“ — „ფეიენოორდი“	როტერდამი, პოლანდია	3:0,	0:2
		ფ	„დინამო“ — „კარლ	ცაისი“ იენა, გდრ	2:1	
1981-82	თთ	1/16	„დინამო“ — „გრაცერი“	ავსტრია	2:0,	2:2
		1/8	„ბასტია“	საფრანგეთი — „დინამო“	1:1,	1:3
		1/4	„ლეგია“	ვარშავა, პოლონეთი — „დინამო“	0:1,	0:1
		1/2	„დინამო“ — „სტანდარდი“	ლიეჟი„ ბელგია	0:1,	0:1
1982-83	უთ	1/32	„დინამო“ — „ნაპოლი“	იტალია	2:1,	0:1
1987-88	უთ	1/32	„ლოკომოტივი“	სოფია, ბულგარეთი — „დინამო“	3:1,	0:3
		1/16	„ვიქტორია“	ბუქარესტი, რუმინეთი — „დინამო“	1:2,	0:0
		1/8	„ვერდერი“	ბრემენი, გფრ — „დინამო“	2:1,	1:1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲘ

«ᲛᲔᲤᲔ ᲕᲘᲣᲕᲔᲚᲘᲐ !»

(დასწყისი პირველ გვერდზე)

მაგრამ დისტანციის შუაწელზე შვედი მაგდალენ სვენსონი დაწინაურდა. ის იყო, ყველამ იფიქრა, სვენსონს ვეღარავინ დაეწევაო, რომ საქმეში პედანტი და მუხთალი მსაჯები ჩაერივნენ და ლიდერს ვითომც სირბილზე გადასვლისთვის დისკვალიფიკაცია მისცეს. საბოლოოდ იმარჯვა ბარსელონაში მეოთხე ადგილზე გასულმა ფინელმა საარი ესაიამ, მეორე იტალიელი, მსოფლიო მიღწევის პატრონი ილიანა სალვადორი იყო, მესამე კი — ესპანელი ენკო ნასიონ-გრანადოსი.

სიცხემ არც ვაჟ მარათონელებს დააყარა კარგი დღე. სტარტიდან დაახლოებით 45 წუთის შემდეგ ლიანგს სამი თავზეხელაღებული: გერმანელი კურტ სტენზოლი, კუბელი ალბერტო კუბა და ტანზანიელი ოსოჯუმა იკანგა გამოეყო. მერე და მერე სხვები, სახელდობრ კი ნამიბიელი ლუკეს სვარტბოი, ამერიკელი მარკ პლაჩესი და კორეელი კიმ ჯაი რიონი დაწინაურდნენ. ფინიშამდე 3 კილომეტრი რომ რჩებოდა, ნამიბიელი ჯერაც უსწრებდა ამერიკელს, თან მთელი ორი წუთით, მაგრამ სტადიონის შემოგარენში პლაჩესი წამოეწია მეტოქეს, გაასწრო და ჩემპიონი გახდა. აღსანიშნავია, რომ თუმცა კი პლაჩესი შტუტგარტში აშშ-ის სახელით ასპარეზობს, მაგრამ სულ ბოლო დრომდე

ჰაიკე დრეხსლერი

თურმე სამხრეთი აფრიკის ქვეშევრდომი ყოფილა.

კვირას მედლების ექვსი კომპლექტი გათამაშდა. საყოველთაო ყურადღებას, რაღა თქმა უნდა, ვაჟთა სპრინტი იპყრობდა. შესარჩევი გარბენები წინა დღით გაიმართა. ამერიკელმა ლუისმა ზანტი სტარტების შემდეგ ოდენ 10,11 და 10,15 აჩვენა. ნიგერიელმა დანიელ ეპიონმა 9,99. ინგლისელმა კრისტიმ 10,24, ხოლო სეზონის ლიდერმა, ამერიკელმა ანდრე კეისონმა ჯერ 10,09, შემდეგ კი 9,96. მათ გარდა, ფინალში გავიდნენ ნამიბიელი ფრანკი ფრედრიქსი, ამერიკელი მიტჩელი, კანადელი ბრუნო სურინი და იამაიკელი რეი სტიუარტი.

ფინალი კვირას, ნასამხრევს გაიმართა. არ გამართლდა სპრინტის მეფედ შერაცხული, წლეულს ექვსგზის ძლეული კარლ ლუისის ქადილი, „გამოცდილი ვარ და ვიცი, რიგითი შეჯიბრებებისაგან განსხვავებით მნიშვნელოვან ჩემპიონატებში ძალა როგორ მოვიკრიბოო. ლუისი თავდადგე ჩამორჩა და საბოლოოდ უმეცლოდ დარჩა. ჩემპიონი ევროპის ახალი რეკორდითა და მძლეოსნობის ისტორიაში აღრიცხული მეორე საუკეთესო შედეგით — 9,87 — ლინფორდ კრისტი გახდა. ფინიშთან მეორე კეისონი იყო, მესამე კი — მიტჩელი.

100 მეტრზე რბენაზე არანაკლები რეზონანსი მოჰყვა სიგრძეზე მხტომელ ქალთა შეჯიბრებას. გერმანელმა ჰაიკე დრეხსლერმა ათი წლის შემდეგ დაიბრუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული — 711 სანტიმეტრი. მეორე უკრაინელი ლარისა ბერეჟნაია იყო — 698 სმ.

ქალებმა კვირას კიდევ ორი მედალი გაითამაშეს. ბირთვის კვრა ჩინელმა ჩენ ჩჟიხუნმა მოიგო (20,57 მეტრი), ქალთა მარათონში კი ფინიშამდე 5 კილომეტრით ადრე რვანი დაწინაურდნენ. ოსაკის წლევანდელი მარათონის გამარჯვებულმა იაპონელმა იუნკო ოსარიმ ყველას აჯობა. ფინიშთან მეორე პორტუგალიელი მანუელა მაშადუ იყო, მესამე კი ასევე იაპონელი ტომოი აბე. აღსანიშნავია, რომ ოსარიმ იაპონელ ქალთაგან პირველმა მოიპოვა მძლეოსანთა უდიდეს მსოფლიო შეჯიბრებათა ჩემპიონის ტიტული.

კვლავ სკანდალურად დასრულდა მოსიარულეთა შეჯიბრება. ამჯერად — ვაჟთა შორის, 20 კილომეტრზე. მსაჯებმა სტილის დარღვევისათვის შვიდ მონაწილეს მოსდეს შარი, ამათგან ერთს — ფინიშის შემდეგ. მარცხი შეემთხვა ცნობილ რუს ჩემპიონ მიხეილ შჩენნიკოვს. სტადიონის გვიანობაში მსაჯებმა ესპანელი გარსია სირბილში ამხილეს და შჩენნიკოვიც ზედ მიაყოლეს, გამარჯვება კი საბოლოოდ ესპანელ ვალენტინ მასანოს დარჩა.

საერთოდ, რუსებმა შტუტგარტში ერთობ წარუმატებლად ასპარეზობენ. მათი მონაგარი ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონის, სვეტლანა კრიველიოვას მიერ ბირთვის კვრაში მოპოვებული ერთადერთი ვერცხლის მედალია. არადა, ყველას ეგონა, რომ რუსები სად-სად და თავიანთ საყვარელ სახეობაში — ეროს ტყორცნაში მაინც გამოიჩენდნენ თავს. ასე არ მოხდა. მართალია, სერგეი ლიტვინოვმა ყველას აჯობა წინასწარ ტყორცნებში (77,96 მეტრი), მაგრამ ფინალში ხელი მოეცარა და მეშვიდე ადგილს დასჯერდა. ოქრო ბარსელონაში გამარჯვებულმა ტაჯიკმა ანდრეი აბდუვალიევმა მოიგო — 81,64 მეტრი, ვერცხლი — ველორუსმა იგორ ასტაპკოვიჩმა 79,88, ბრინჯაო კი უნგრელმა ტიბორ გეჩეკმა — 79,54.

ყველა-ყველა და, როგორც ჩანს, ჩვენცა და უცხოელებსაც გეოგრაფია მთლად კარგად ვერ გვცოდნია, რაკიღა განურჩევლად ყველა საბჭოელი ეროს მტყორცნელი რუსი გვგონებია, მაშინ როცა „ნაცმენები“ ყოფილან! აი, ასეთია სტერეოტიპების ძალა!

რეზო ნემსაძე

ᲛᲔᲓᲐᲒᲘᲝᲡ ᲓᲐᲤᲐ

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

მეისონი, ცინცინატი, ოპაიოს შტატი, აშშ, 9-15 VIII. პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის შეჯიბრება. საპრიზო ფონდი 1 650 000 დოლარი

ნახევარფინალები: შტეფან ედბერგი (შვედეთი, განთესვის ნომერი 3) — პიტ სამპრასი (აშშ, 1) 6:7, 7:5, 7:6; მაიკლ ჩანგი (აშშ) — ანდრე აგასი (აშშ, მსოფლიო კლასიფიკაციით 28-ე) 7:5, 1:6, 7:5. ფინალი: ედბერგი — ჩანგი 7:5, 0:6, 6:4.

წვიმის გამო მერვედი და მეოთხედფინალები ერთ დღეს გაიმართა. ჯიმ კურიერ (2) პირველ წრეშიც წააგო ჯეისონ სტოლტენბერგთან (ავსტრალია) 6:3, 4:6, 4:6; ამან — შემდეგ წრეში მიხაელ შტიხთან (გერმანია, 4), ამას კი მოუგო აგასიმ. აგასიმვე დაამარცხა დაგ ფლეტი (აშშ, კლასიფიკაციით 227-ე), რომელმაც პირველ წრეში ივან ლენდლს (აშშ, 5) სძლია 7:6, 2:6, 6:2

ლოს-ანჯელესი. 9-15 VIII. „ვერჯინია სლიმზის“ ტურნირი. საპრიზო ფონდი 375 000 დოლარი

ნახევარფინალები: მარტინა ნავრატილოვა (აშშ, 2) — გაბრიელა საბატინი (არგენტინა, 3) 6:1, 6:1; არანტა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 1) — ლორი მაკნილი (აშშ) 7:5, 6:2. ფინალი: ნავრატილოვა — სანჩეს-ვიკარიო 7:5, 7:6.

36 წლის ნავრატილოვამ შეინარჩუნა ტიტული, მერვედ მოიგო ლოს-ანჯელესის შეჯიბრება, სულ კი 165-ედ გაიმარჯვა ტურნირებში

„ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘᲡ“ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲢᲠᲘᲣᲛᲤᲘ „ᲰᲣᲜᲒᲐᲠᲘᲠᲘᲜᲒᲖᲔ“



საოცარი ტრასაა „ჰუნგარორინგი“. ჯერ იყო და, „დაიბადა“ თუ არა, მაშინვე გინესის წიგნში შესატანი გახდა: მართლაც, ოღროჩოღრო ტრიალ მინდორზე ათიოდ თვეში პრაქტიკულად უხიფათო, ულტრათანამედროვე, ურთულესი კომუნიკაციებით აღჭურვილი ავტოდრომის აგება სწორედ რომ რეკორდისა და გმირობის ტოლფასი იყო. მაგრამ სიამაყით აღვსილ მასპინძლთ პირველივე რბოლის შემდეგ სრულიად მოულოდნელად „ცივი წყალი“ გადაასხეს პილოტებმა — ზოგიერთმა მათგანმა თავიდანვე ითვალწუნა ეს ოთხკილომეტრიანი ნაქები წრე სივიწროვის, სიცხისა და ახლო-მახლო ბორცვებიდან ქარით ჩამოტანილი მტვრის გამო.

კიდევ ერთი საოცრება მაშინ მოხდა, როცა სწორედ „ჰუნგარირინგზე“, ჩემპიონატის დამთავრებამდე 5 ეტაპით ადრე (!) ინგლისელმა პილოტმა: ნაიჯელ მენსელმა პირველობა გაინაღდა. მანამდე, „ფორმულის“ 43-წლიან ისტორიაში ასეთი ფანტასტიკური უპირატესობისათვის არავის მიუღწევია.

გუშინწინდელ რბოლაში კიდევ ერთი მოულოდნელობა მოხდა. თუმცა ამის შესახებ უფრო დაწვრილებით.

სტარტზე თავის ჩვეულ პირველ პოზიციაზე იდგა წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერი ფრანგი ალენ პროსტი. მაგრამ ბოლოსწინა, გასახურებელ წრეზე წასვლის წინ მის „უილიამსს“ „რენოს“ ნაქებმა ძრავამ უმტყუნა — არ დაიქოქა. ფირმის კონსტრუქტორ-მექანიკოსებს ამ საქვეყნო სკანდალის სანაცვლოდ მიწის გასკდომა და შიგ ჩაყოლა ერჩივნათ. ამიტომაც ეცნენ გამწარებით მანქანას ადა მართალია, რამდენიმე წამში აამუშავეს კიდეც, მაგრამ წესების შესაბამისად, „პროფესორმა“ ყველაზე ბოლოს აიღო სტარტი, რითაც უზარმაზარი ფორა მისცა თავის მთავარ კონკურენტებს.

სტარტი ბრწყინვალედ აიღო პროსტის თანაგუნდელმა ინგლისელმა დიმონ ჰილმა. მესამე ადგილზე მდგომი სენა სასტარტო ნიშნის მიცემისთანავე, ჩვეულებრივ თავქუდმოგლეჯილი გავარდა წინ. და შეეცადა რბოლის სათავეში მოქცევას, რაც მხოლოდ სანახევროდ მოახერხა. „ბენეტონიან“ მიხეილ შუმახერს კი გაასწრო, მაგრამ წინ წასულ ბრიტანელს ვერაფერი დააკლო.

„ჰუნგარირინგზე“ სტარტის შემდეგ მოსახვევიდან იწყება საკმაოდ გრძელი, მიხვეულ-მოხვეული დაღმართი, შემდეგ ამას მოსდევს არანაკლები სირთულის აღმართი. პირველი წრეზე ამ სერპანტინს შეეწირა ბრაზილიელი რუბენს ბარიჩელის „ჯორდანი“ — ბალახში შევარდნილი ისე მძლავრად შეასკდა დამცავ ბარიერს, რომ წინა მარცხენა თვალი თავის ღერძიანად იქვე დატოვა.

თითქოს ეს ნიშანი იყოო, ერთი მეორეს მიყოლებით კიდევ რამდენიმე ბოლიდი „ძოსრიალდა“, ძათ შორის შუმახერის „ბენეტონიც“. გერმანელმა პილოტმა რის ვაი-ვაგლახით მოახერხა ტრასაზე დაბრუნება, მაგრამ 30-ე წრეზე ბალახში სრიალის შედეგმა მაინც იჩინა თავი და ერთ-ერთი ფავორიტი რბოლას გამოეთიშა.

პროსტის უბედურება კი მარტო სტარტით არ ამოწურულა. 21-ე წრეზე საბურავების შესაცვლელად ბოქსებში შესულ მის „უილიამსს“ უკანა ფრთა აღმოაჩნდა მორყეული, რის დამაგრებასაც თითქმის 8 წუთი მოანდომეს. „პროფესორი“ ტრასაზე კი დაბრუნდა, მაგრამ შვიდწრიან ჩამორჩენას, ცხადია, ვეღარაფერს უშველიდა.

კვირას არც სენას გაუმართლა. ბრაზილიელი „ჯადოქარი“ ტყუილად როდია გამწყრალი თავის „მაკლარენზე“. წლეულს მან უკვე მეხუთე რბოლაში ვერაფრით გამოიჩინა თავი. უნგრეთში მანამდე ჩატარებულ შვიდ რბოლაში იგი მესამე ადგილზე დაბლა არ ჩამოსულა, ამჯერად კი მთელი დისტანციის მესამედის გავლაც კი ვერ შესძლო ძრავის მიზეზებით.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, გრეჰემ ჰილის ვაჟს ყველაფერ ამის შემდეგ გზა გაეხსნა თავისი პირველი გამარჯვებისაკენ და მართლაც, თითქოს ფრთები გამოესხა, დიმონი სულ უფრო და უფრო შორდებოდა მეორე პოზიციაზე მყოფ იტალიელ რიკარდო პატრეზეს „ბენეტონს“. იტალიელი ვეტერანი ბოლოს პირველობაზე მეტად უფრო იმას ცდილობდა, მეორე ადგილი არ დაეკარგა „ფერარის“ აგრესიულ პილოტთან, ავსტრიელ გერჰარდ ბერგესთან ბრძოლაში.

ჰილის სასახელოდ კი უნდა ითქვას, რომ მან მთელი რბოლა ბრწყინვალედ წარმართა, თავიდან ბოლომდე არავისთვის დაუთმია ლიდერობა და როგორც იქნა, პირველი გამარჯვებასაც იზეიმა. 30 წლის ლონდონელი პილოტისთვის ეს „ჰუნგარირინგზე“ პირველი გამოსვლა იყო და თანაც ძალზე შთამბეჭდავი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვთქვათ, 24 წლის შუმახერისგან განსხვავებით, პოდიუმზე ბავშვივით გაბარებული ხელების ქნევას რომ ატეხავს ხოლმე, ჰილი ბრიტანელებისთვის ჩვეული სიმშვიდით, ყოველგვარი ემოციების გარეშე შეხვდა თავის პირველ მოგებულ „გრან პრის“.

პროსტმა კი საბოლოოდ რბოლაც დაამთავრა და გზად ტრასის რეკორდიც დაამყარა — ერთი წრე 179,38 კმ-სთ სიჩქარით გაიქროლა.

გია ახალაძე

ᲓᲔᲘᲛᲝᲜ ᲰᲘᲚᲘ

(დიდი ბრიტანეთი)

დაიბადა 1962 წლის 17 სექტემბერს ლონდონში.

სიმაღლე 183სმ, წონა 72კგ.

ყავს მეუღლე ჯორჯია და ორი ვაჟიშვილი.

სპორტული კარიერა დაიწყო 1983 წელს, როგორც მოტორბოლმა. შემდეგ ასპარეზობდა დაბალი კლასის „ფორმულებში“. 1991-92 წლებში იყო „უილიამსის“ ტესტ-პილოტი.

ფორმულა-1 რბოლაში დებიუტი აქონდა შარშან, სილვერსტოუნის ავტოდრომზე. დიდი ბრიტანეთის „გრან-პრის“ გათამაშებაში, სადაც მხოლოდ მე-16 ადგილი დაიკავა. მაშინ პილი „ბრებჰემ-ჯადის“ გუნდში ასპარეზობდა.

მონაწილეობა მიიღო 13 რბოლაში, დაგროვილი აქვს 38 ქულა.

ამ მხრივ საინტერესოა დეიმონის მაჩვენებლების შედარება მისი სახელგანთქმული მამის, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის გრეჰემ პილის შედეგთან. უფროს პილს 176 რბოლაში 289 ქულა აქონდა დაგროვილი, საშუალოდ 1,6 ქულა. დეიმონის მაჩვენებელი კი სადღეისოდ უფრო მაღალია — 2,9 ქულა.

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ „ᲒᲠᲐᲜ-ᲞᲠᲘᲡ“ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ (77 ᲬᲠᲔ. ᲡᲐᲠᲗᲝ ᲡᲘ�გᲠᲫᲔ 305,536 ᲙᲛ).

საუკეთესო დრო ერთ წრეზე (3968 მ) აჩვენა ალენ პროსტმა — 179,38 კმ-სთ

1. დეიმონ ჰილი (დიდი ბრიტანეთი, „უილიამსი“) — 1სთ, 47. 39,098; 2. რიკარდო პატრეზე (იტალია, „ბენეტონი“) — ჩამორჩა 1 წუთით და 11,915 წამით; 3. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „ფერარი“) — 1 წუთი, 18,045 წამი; 4. დერეკ უორვიკი (დიდი ბრიტანეთი, „ფუტუორკი“) — 1 წრით; 5. მარტინ ბრანდლი (დიდი ბრიტანეთი, „ლიჟიე“) — 1 წრით; 6. კარლ ვენდლინგერი (ავსტრია, „ზაუბერი“) — 1 წრით; 7. მარკ ბლანდელი (დიდი ბრიტანეთი, „ლიჟიე“); 8. ფილიპ ელიო (საფრანგეთი „ლარუს“); 9. ტიერი ბუტსენი (ბელგია, „ჯორდანი“); 10. იუკიო კატაიამა (იაპონია, „ტირელი“); 11. ანდრეა დე ჩეზარისი (იტალია, „ტირელი“); 12. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „უილიამსი“). დანარჩენმა პილოტებმა რბოლა ვერ დაამთავრეს.

საერთო ჩათვლა. კონსტრუქტორები: 1. „უილიამსი“ — 115; 2. „მაკლარენი“ — 53; 3. „ბენეტონი“ — 53; 44. „ლიჟიე“ — 21; 5. „ფერარი“ — 14; 6. „ლოტუსი“ — 10; 7. „შინარდი“ — 7; 8. „ზაუბერი“ — 7; 9. „ფუტუორკი“ — 4, 10. — „ლარუსი“ — 2.

			საშ. აფრიკა	ბრაზილია	ევროპა	სან მარინო	ესპანეთი	მონაკო	კანადა	საფრანგეთი	დ. ბრიტანეთი	გერმანია	უნგრეთი	ბელგია	იტალია	პორტუგალია	იაპონია	ავსტრალია	სულ
1	ალენ პროსტი საფრანგეთი	„უილიამსი“	10		4	10	10	3	10	10	10	10							77
2	აირტონ სენა ბრაზილია	„მაკლარენი“	6	10	10		6	10		3	2	3							50
3	დეიმონ ჰილი დიდი ბრიტანეთი	„უილიამსი“		6	6			6	4	6			10						38
4	მიხაელ შუმახერი გერმანია	„ბენეტონი“		4		6	4		6	4	6	6							36
5	რიკარდო პატრეზე იტალია	„ბენეტონი“			2		3				4	2	6						17
6	მარტინ ბრანდლი დიდი ბრიტანეთი	„ლიჟიე“				4		1	2	2			2						11
7	გერჰარდ ბერგერი ავსტრია	„ფერარი“	4	2								4							10
7	მარკ ბლანდელი დიდი ბრიტანეთი	„ლიჟიე“	1				1		3			1	4						10
9	ჯონი ჰერბერტი დიდი ბრიტანეთი	„ლოტუსი“		3	3						3								9
10	იუან იარვი ლეუტო ფინეთი	„ზაუბერი“	2			3													5
10	კრისტიან ფიტიპალდი ბრაზილია	„მინარდი“	3					2											5

„მომავალშიც საჩოგბურთო გეგმები მაქვს“



ლეილა მესხი

დაიბადა 1968 წლის 5 იანვარს
სიმაღლე — 164 სმ, წონა — 54 კგ.
ვარჯიში დაიწყო 1976 წელს
პირველი მწვრთნელი გურამ თოხაძე. შემდეგ თეიმურაზ კაკულია და ოლღა მოროზოვა (სსრკ ნაკრებში)
ამჟამად ვარჯიშობს ნიკო ელერდაშვილისა და მოსკოველი კონსულტანტის სერგეი ანდრეევის ხელმძღვანელობით
პროფესიონალი ჩოგბურთელი 1985 წლიდან
საქართველოს ერთგზის ჩემპიონი (სულ ერთხელ ითამაშა)
სსრკ ორგზის ჩემპიონი (თითოჯერ ღია მოედანზე და დარბაზში)
ნეშვილის, ოკლენდის, ველინგტონის, მოსკოვის ტურნირების გამარჯვებული
აშშ-ის ღია ჩემპიონატის მეოთხედფინალისტი 1990 წელს, ნახევარფინალისტი ნეტლი შორის მერსედეს პასთან ერთად 1991 წელს
მსოფლიოს კლასიფიკაციაში საუკეთესო ადგილი — XII (5.VIII.1991)
სადღეისოდ 26-ე ადგილზეა

გუშინ ტორონტოში დაიწყო კანადის ღია ჩემპიონატი 64 უძლიერესი ჩოგბურთელი ქალის მონაწილეობით. ასპარეზობა, რომლის საპრიზო ფონდიც 750 ათას დოლარს შეადგენს, „დიდი სლემისა“ და კი-ბისკეინის (აშშ) სუპერტურნირების შემდეგ ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულად ითვლება. იმავდროულად, ეს შეჯიბრება ერთგვარ რეპეტიციასაც წარმოადგენს აშშ-ის ღია ჩემპიონატის წინ, რომლის დაწყებამდეც ორიოდე კვირაღა დარჩა.

კანადა-ამერიკის ტურნეს წინ ჩვენი სახელგანთქმული ჩოგბურთელი ლეილა მესხი ამჯერადაც თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე კორტებზე ვარჯიშობდა. დარწმუნებული ვარ, ლეილას წარმატებები უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, მზადების ისეთივე პირობები რომ ჰქონდეს, როგორც მის უცხოელ კოლეგებს. ერთის თქმა დაბეჯითებით შეიძლება: მსოფლიოს წამყვანი ჩოგბურთელები ცოტა ხნით მაინც რომ ავარჯიშო ჩვენნაირ ანტიკვარულ კორტებზე, ორი-სამი თვის შემდეგ უძლიერესთა ათეულში, არცერთი მათგანი აღარ დარჩებოდა.

რას იზამ, ყველას კარგად მოგეხსენებათ თავს ზემოთ ძალის ამბავი. ამიტომაც უხდება ლეილას იმით დაკმაყოფილება, რაც გაგვაჩნია. თუმცა, თავად სპორტსმენის თქმით, ასეთი საფარის შემდეგ უცხოურ კორტებზე „გადასვლა“ იოლიცაა და სასიამოვნოც. რა გამოდის, ზოგი ჭირი მარგებელია?

თბილისში ვარჯიშისას მესხს სპარინგ-პარტნიორობას ჩვენი ერთ-ერთი უძლიერესი ოსტატი ირაკლი სვანიძე უწევდა. მზადებას კი ხელმძღვანელობდნენ ნიკო ელერდაშვილი და მოსკოვიდან მონვეული კონსულტანტი სერგეი ანდრეევი, რომელთანაც ლეილა უკვე რამდენიმე წელია თანამშრომლობს. ეს ის ანდრეევი გახლავთ, შამილ ტარპიშჩევამდე წლების მანძილზე საკავშირო ნაკრების უცვლელი კაპიტანი რომ იყო დევისის თასის გათამაშებაში.

ვარჯიშის შემდეგ ლეილა სიამოვნებით დამთანხმდა ინტერვიუზე. ბუნებრივია, ჩემი პირველი კითხვა კორტებს შეეხებოდა.

— ჩვენნაირი მოედნები აღარსადაა, — მიპასუხა ლეილამ. — უცხოეთში მიწის კორტებზე დრენაჟის ისეთი ფენა დაგვაწყეს, რომ მორწყვის შემდეგ მოედანი დიდხანს ინარჩუნებს ტენს. აქ კი უცბად, სულ რამდენიმე წუთში შრება და ფეხი სრიალს იწყებს, რაც გამიკ ბურთთან სწორად ვეღარ მიდიხარ. ასე რომ, ნორმალური მზადება აქ ძალიან ჭირს. ამის გამოა ნერვიულობაც, რადგან ყველაფერს ისე ვერ აკეთებ, როგორც ჩაფიქრე.

— და მაინც, როგორი განწყობა გაქვთ აშშ-ის ღია ჩემპიონატის წინ?

— იმედიანად მივემგზავრები. თუმცა წინასწარ არაფრის თქმა არ მინდა. ბევრი რამ წილისყრაზეც იქნება დამოკიდებული.

— თბილისში ვარჯიშისას თამაშის რომელ ელემენტებზე გაამახვილეთ უურადღება?

— მოწოდებაზე და მარჯვნიდან დარტყმაზე.

— ანდრეევის რჩევები ალბათ ძალიან გეხმარებათ. უცხოეთში თუ დაყვებათ?

— არა, ასაკს თავისი გაქვს. თანაც უცხოეთში თამაშის დროს არავინ მისცემს კარნახის საშუალებას. ჩემი შეხვედრების ვიდეოჩანაწერები ჩამომაქვს და მერე ერთად ვარჩევთ ხოლმე.

— ძნელია ნიუ-იორკის სიცხესთან შეჩვევა? თანაც, კორტების სიახლოვეს აეროდრომი ყოფილა.

— ადრე თვითმფრინავები მართლა დაფრინავდნენ ჩვენს თავზე და ძალიანაც გვიშლიდნენ ხელს. ბოლო დროს, ქალაქის მერიის გადწყვეტილებით, აშშ-ის ღია ჩემპიონატის დღეებში მათი აფრენ-დაფრენის მიმართულება იცვლება და „ფლაშინგ მიდოუს“ კომპლექსს შორდან უვლიან ხოლმე. სიცხე კი მართლაც საშინელი იცის. შარშანწინ ორი სპორტსმენი თამაშის დროს ცუდად გახდა.

— „დიდი სლემის“ ტურნირებიდან რომელი გიყვართ?

— საფრანგეთისა და აშშ-ის ღია ჩემპიონატები. საერთოდ, ყველაზე მეტად სწორედ ამერიკაში მიყვარს თამაში. იქ ყოველწლიურად ბევრ ტურნირში გამოდიგარ და მუდამ დიდი ხალისითაც. ასევე მსიამოვნებს პარიზში თამაში, სადაც ამაღლებულ განწყობაზე საერთო სიტუაციაც მოქმედებს — ულამაზესი ქალაქი თავისი განუმეორებელი კოლორიტით.

— რომელი ტურნირი და როგორი კორტები არ მოგწონთ?

— უიმბლდონი და საერთოდ, ინგლისის ტურნირები: ბალახზე თამაში არ მიყვარს.

— ტორონტოს შემდეგ თქვენ ნიუ-იორკის მანლობლად, სკენეკტადის პატარა, 100 ათასიან ტურნირში აპირებთ გამოსვლას.

— აშშ-ის ღია ჩემპიონატის წინ ყველა ცდილობს ამ ტურნირში თამაშს ბეტონის კორტებთან შესაჩვევად.

— თქვენ ამერიკული ფირმა „პრინსის“ ჩოგნით თამაშობთ. კონტრაქტი გაქვთ?

— წელს გავაფორმეთ სამწლიანი ხელშეკრულება. ასე, რომ ამ ხნის მანძილზე მხოლოდ „პრინსით“ უნდა ვითამაშო.

— ორი წლის წინ, „სარბიელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვენ უიმბლდონის გამარჯვებული გამოიცანით. როგორ ფიქრობთ, ნიუ-იორკში ვინ იქნება პირველი?

— რა თქმა უნდა, შტეფი გრაფი. მით უფრო, რომ არ ითამაშებს სელეში.

— მის ჯანმრთელობაზე რა ისმის?

— მონიკა პაირებდა ტორონტოში და შემდეგ ნიუ-იორკშიც თამაშს. ჩაწერილიც იყო მონაწილეთა სიაში. მაგრამ ბოლო მომენტში ექიმებმა კორტზე დბრუნება კიდევ ერთი თვით გადაუვადეს. სელეშს ახლა იმდენად მხარი აღარ აწუხებს, როგორც ფსიქოლოგიური ტრავმა. თუმცა, მკურნალები იმასაც შიშობენ, რომ შეიძლება ძველებურად ვეღარც ითამაშოს. მაგრამ გულდასაწყვეტი უფრო სხვა: საკმარისი აღმოჩნდა, მონიკას რამდენიმე ტურნირი გამოეტოვებინა, რომ კლასიფიკაციაში პირველობაც დაკარგა და თან ყველამ დაივიწყა. იშვიათად თუ ახსენებენ, თანამდე კი ყოველ ნაბიჯზე გაისმოდა მისი სახელი.

— პირად ურთიერთობაში როგორია?

— წყნარი, ფავის თავში ჩაკეტილი. ერთთავად ფიქრებშია ჩაფლული, თითქოს ყოველ წუთს თამაშზე ფიქრობს, ანდა რაიმე სხვა პრობლემა აწუხებს. მარტნა ნავრატილოვა კი, პირიქით, ძალიან გულღია პიროვნებაა. ნახვისას ყველას თბილად მოიკითხავს ხოლმე. ქველმოქმედებითაც გამოირჩევა — ძალიან ბევრს ხარჯავს გაჭირვებულების დასახმარებლად. გრაფს კი მართლა ვერავინ გაუგო. მეტეორივითაა. ყველაფერს ძალიან სწრაფად აკეთებს, ყოველთვის სადღაც ეჩქარება. ასეთია ვარჯიშის დროსაც და თამაშშიც. ახლო ურთიერთობაც არავისთან აქვს.

— თქვენ ვისთან მეგობრობთ?

— მეგობრობას ვერ ვიტყვი, მაგრამ ყველაზე კარგი ურთიერთობა ბულგარელ დებ მალეევებთან მაქვს. კიდევ არგენტინელ გოგონებთან, ნასიათით ძალიან გვანან ქართველებს. გაბრიელა საბატინიც, თავისი ქედმაღლური იერის მიუხედავად, ძალიან თბილი, კარგი გოგოა.

— წლევანდელი უიმბლდონის მოგებით გრაფმა 275 ათასი გერვანეკ სტერლინგი გამოიმუშავა. ხელზე რამდენს მიიღებდა?

— 20 პროცენტი ინგლისში დარჩა ბეგარის სახით. ზოგ ქვეყანაში მეტსაც ართმევენ. 10 პროცენტი მენეჯერმა წაიღო. დანარჩენი გრაფისაა. წლის ბოლოს კი მთელი შემოსავლის 45 პროცენტი უნდა ჩარიცხოს გერმანიის ბიუჯეტში. მაგრამ, რამდენადაც ვიცი, შტეფი ყოველწლიურად შემოსავლის ღონის მიუხედავად, ნახევარ მილიონ დოლარს ურიცხავს სახელმწიფოს. თუმცა საპრიზო თანხა ძალზე მცირეა იმასთან შედარებით, რასაც რეკლამა აძლევს მოწინავე, ვთქვათ, ათეულში შემავალ მოთამაშეებს.

— საწყენია, რომ ჩვენი ფედერაციისა და სპორტკომიტეტის უსახსრობის გამო ქართველი ჩოგბურთელები წელს ვერ ჩაებნენ დევისის თასისა (კაცები) და საერთაშორისო ფედერაციის თასის (ქალები) გათამაშებაში. გაისად როგორ იქნება საქმე?

— აუცილებლად ვითამაშებთ. მე უკვე შევიტანე საერთაშორისო ფედერაციაში სამისოდ აუცილებელი თანხა. დარწმუნებული ვარ, მე და ნინო ლუარსაბიშვილი, რომელმაც ბოლო დროს მკვეთრად აიმაღლა თამაშის კლასი, დავძლევთ შესარჩევ ბარიერს. მერე კი ვნახოთ.

— შარშანწინ ერთ უცხოურ ჟურნალში ამოვიკითხე, რომ თქვენი საყვარელი ფილმია „ძილი მტერთან ერთად“, საყვარელი მსახიობი კი — ჯულია რობერთსი...

— იმ ფილმის დრო გავიდა და ახლა ორი-სამი სხვა სურათი მომწონს, მათ შორის, თეშურ ბაბლუანის „უძინართა მზე“.

— იქ ისიც ეწერა, საყვარელი საჭმელი სპაგეტიაო.

— საერთოდ, ძალიან მიყვარს მაკარონი. თბილისში ყოველთვის ყიდულობ, უცხოეთშიც ძალიან ხშირად ვჭამ, უშუალოდ თამაშის წინაც. თუმცა, მარტო მე კი არა, ბევრი ჩოგბურთელი სწორედ სპაგეტის ამჯობინებს სხვა საჭმელს.

— ხომ არ მოგწყენდათ გაუთავებელი ვარჯიშები და ამდენი თამაში?

— დამღლელი კი არის, მაგრამ თამაშისთვის თავის დანებება ჯერ არც მიფიქრია.

— სასტუმრო „მეტეხთან“ გახსნილი სპორტული ნაწარმის თქვენი მაღაზია ქალაქში პოპულარობით სარგებლობს. მომავალში კომერციას ხომ არ მოკიდებთ ხელს?

— ცნობილი სპორტსმენების მაღაზიები მთელს მსოფლიოშია მოფენილი და ყველგან პოპულარულია. მოხარული ვარ, რომ ჩემს მაღაზიასაც ეტანება ფიდელი. ჩოგბურთიდან წასვლის შემდეგ კი მე უფრო საჩოგბურთო გეგმები მაქვს. ვნახოთ, მანამდე დიდი დროა.

გია ახალაძე

«ბენელი» მხოლოდ «ოქროს» უმიზნებს

ნინო სალუქვაძე

ოლიმპიური ჩემპიონი: 1988 (მპ)
მეორე პრიზიორი: 1988 (პპ)
მსოფლიოს ჩემპიონი: 1989 (პპ)
მესამე პრიზიორი: 1986 (მპ)
ევროპის ჩემპიონი: 1989, 1993 (მპ), 1990 (პპ)
მესამე პრიზიორი 1991 (პპ)

შარშან დეკემბერში იტალიის საბრძოლო, სპორტული და სამონადირეო იარაღების მნარმოებელმა ფირმებმა მსოფლიოში აღიარებულ ტყვიის მსროლელ სპორტსმენ ქალებს, თბილისელ ოლიმპიურ ჩემპიონს ნინო სალუქვაძეს და სანკტ-პეტერბურგელ სვეტლანა სმირნოვას კონტრაქტების გასაფორმებლად მინვევა გამოუგზავნეს. არჩევანი ფირმა „ბენელიზე“ შეჩერდა. მისი მესვეურები სპორტსმენებს მცირეკალიბრიან სტანდარტულ პისტოლეტებთან ერთად წელიწადში ხუთ შეჯიბრებაზე დაფინანსებას დაპირდნენ. ორიდე თვის წინ ნინომ „ბენელის“ პისტოლეტი იტალიაში გამართულ მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპზე გამოსცადა და შედეგიც სასურველი აღმოჩნდა — პირველი ადგილი. ახლახან კი ქალაქ ბრნოდან იტალიელებმა ქართველებთან ერთად სასიხარულო ცნობა მიიღეს: სეულის ოლიმპიადის გმირმა ნინო სალუქვაძემ მცირეკალიბრიანი სტანდარტული პისტოლეტით სროლაში 687,6 ქულა მოაგროვა და ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. ნინომ საგრძნობლად გაუსწრო მეორე და მესამე ადგილებზე გასულ ბულგარელებს მარია გრუზდევასა (679,7) და დიანა იორგოვას (679,2).

— ნინო, რა უპირატესობით გამოირჩევა ახალი იარაღი? — ვკითხეთ ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებულ მსროლელს.

— მისი ლულის ხარისხი შედარებით მაღალია. სპორტულ პისტოლეტებს სასხლეტი მექანიზმი ზშირად უფუჭდებათ, გამოცვლას კი დიდი დრო და კარგი ზელოსანი სჭირდება. „ბენელის“ პისტოლეტზე მისი შეკეთება იოლია — თავად სპორტსმენიც მოახერხებს ათიოდ წამში.

— სამი თვის წინ ლოს-ანჯელესში, მსოფლიო თასის ეტაპზე თქვენ 693,8 ქულით მსოფლიოს რეკორდი დაამყარეთ, ამჟამად კი „მოკრძალებულ შედეგს“ დასჯერდით...

— ცხადია, ყოველ შეჯიბრებაზე რეკორდს ვერ დაამყარებ, თუმცა ამ ჩემპიონატზე უკეთეს შედეგს ველოდი. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით ასპარეზობისას მესამე და მეოთხე სერიაში სამწუხაროდ სუსტი მაჩვენებლები მქონდა — 47 და 46 ქულა. ეს რომ არა, გუნდურში მედლების გარეშე არ დავრჩებოდით. მესამე ადგილზე გასულ ბულგარელებს მხოლოდ ორი ქულით ჩამოვრჩით.

— არც მეოთხე ადგილია ურიგო, — ჩაერია საუბარში ნინოს მამა და მწვრთნელი ბატონი ვახტან სალუქვაძე. — ჩვენ ხომ პირველად ვასპარეზეთ ერთვნული გუნდით. ჩვენი ნაკრების ორ მონაწილეს — მეგი ხუბულაშვილსა და ნინო უჩაძეს საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის გამოცდილება რომ ჰქონოდათ, შეიძლებოდა სენსაციაც მოგვეხდინა ჩემპიონატზე. პირველ ადგილზე გასულმა გერმანელებმა ცამეტი ქულით გაგვასწრეს, ხოლო მეორე პრიზიორებმა, ბელორუსებმა — ექვსით.

— ეტყობა, ცოტა ბედიც უნდა გწყალობდეს. — განაგრძო ნინომ. — შეჯიბრების წინა დღეს, სასინჯი სროლებისას უჩაძის პისტოლეტს სასხლეტი ჩაუშალა. მართალია, გამოუცვალეს, მაგრამ ახალს შეჩვევა ხომ უნდოდა, მეგის კი უშუალოდ შეჯიბრებისას იარაღზე კორა მოძვრა. ყოველივე ამის მიუხედავად, მეოთხე ადგილზე გავედით და გავუსწარით რუსეთის ნაკრებს, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ოლიმპიური ჩემპიონი მარინა დობრანნოვა, სვეტლანა სმირნოვა და ლიუდმილა ხომილიოვა.

— სამაგიეროდ, ამ სამეულმა რევანში პნევმატური პისტოლეტით სროლაში აიღო...

— უფრო მეტიც: ამ ვარჯიშში მათ 1161 ქულა მოაგროვეს და 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრების მიერ დამყარებული მსოფლიო რეკორდი ორი ქულით გაუმჯობესეს. ჩვენ კი თექვსმეტ გუნდს შორის მეშვიდე ადგილზე გავედით. მეორე-მესამე ადგილები შესაბამისად გერმანელებმა (1148) და ბულგარელებმა (1138) გაიანწილეს. პირად პირველობაში უძლიერესი იყო სმირნოვა (488,8). მეორე ადგილზე დობრანნოვა გავიდა (484,5), მესამე იყო დანიელი კარენ პანსენი (483,9). მე ექვსი მეათედი ქულით ჩამოვრჩი ბრინჯაოს პრიზიორს და მეოთხე ადგილი დავიკავე. მართალია, ურიგოდ არ გამოვსულვარ, მაგრამ სხვები უკეთესად ისროდნენ. ისინიც ზომ მედლებისთვის ჩამოვიდნენ ბრნოში.

— საპრიზო ადგილზე გასასვლელად მარტო სურვილი და მონდომება არ კმარა, კარგი ბაზა და ინვენტარიც უნდა გქონდეს...

— უეჭველია. ჩვენ კი ერთადერთი და ისიც კეთილმოუწყობელი დახურული ტირი გვაქვს, რომელიც ზამთრობით არ თბება. არადა გაისად, თებერვალში, პნევმატური პისტოლეტით სროლაში ევროპის ჩემპიონატზე უნდა ვასპარეზოთ საფრანგეთში, ზაფხულში კი მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება მილანში. სულ მალე, აგვისტოს ბოლოს მიუნხენში მსოფლიო თასის ფინალში მომიწევს გამოსვლა. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შეჯიბრება ყველგან ღია სასროლებზე იმართება, ჩვენ კი დახურულ ტირში ვვარჯიშობთ, ეს მაშინ, როცა ღია ცის ქვეშ ასპარეზობისას ოდნავ ნიავსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. პირობებს შეჩვეული უნდა იყო. შეჯიბრებებზე გამგზავრებასაც სათანადო ყურადღების მიქცევა სჭირდება, თორემ აეროპორტებში თუ ვათიეთ ღამეები, როგორც ამჯერად, მაღალი შედეგების მიღწევა გაგვიძნელდება. რაც შეეხება იარაღსა და ტყვია-წამალს, ჯერჯერობით უზრუნველყოფილი ვართ, თანაც „ბენელის“ იმედიც გვაქვს — ბრნოში მიღწეული წარმატებების საფასურად უთუოდ დახმარებას გაგვიწევენ. იქნებ, საქართველოშიც გამოგვიჩნდეს სპონსორი.

— ნინო, გათხოვებამ ხელი ხომ არ შეგიშალათ შეჯიბრებებისთვის მომზადებაში?

— არა, ყოველმხრივ მიწყობენ ხელს.

— ერთ მშვენიერ დღეს მეუღლემ რომ გითხრათ: ან მე, ან სპორტი, რას იზამთ?

— ამგვარი რამ გამორიცხულია. ჩემი ქმარი გოჩა მაჭავრიანი ყოფილი მორაგბეა, „შევარდენსა“ და „ყორჩებში“ თამაშობდა, მან იცის, სპორტსმენს რაოდენი სიხარული მოაქვს თავისი წარმატებებით გულშემატკივრებისთვის. სანამ ამის გაკეთება ძალმიძს, გოჩა — როგორც მეგობარი და გულშემატკივარი, ასეთ რამეს, მჯერა, არც გაიფიქრებს.

— სპორტის გარდა, რა გიტაცებთ?

— მუსიკა, ლიტერატურა, ხატვა, ქარგვა. მიყვარს ოჯახურ გარემოცვაში ყოფნა, განსაკუთრებით შეჯიბრებიდან დაბრუნების შემდეგ.

— ღამით ჭეშში მარტო მომავალს მძარცველები რომ დგახხმოდნენ, ესროდით?

— არა, არაკაცებისთვის ტყვიას არ გავიმეტებდი.

ვაჟა დანელია

სარბიელი

ტოტალიზატორი "CROCO"

13 აგვისტოდან განახლდება ფსონების მიღება

შეგახსენებთ თამაშის წესებს:

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, თქვენი პროგნოზის გამართლების შემთხვევაში მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს. (მაგალითად, თუ თქვენ ფსონს გაკეთებთ ერთდროულად ოთხ თამაშზე და იცარაუდეთ „ვერდერის", არგენტინის, ეკვადორისა და ბრაზილიის გამარჯვება, თქვენი ვარიანტის გამართლების შემთხვევაში მიიღება კოეფიციენტი 95,3 (3,7 X 1,8 X 5,3 X 2,7). ასეთ შემთხვევაში ყოველ დადებულ ათას მანეთზე მიიღებთ 95 300 მანეთს).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგება შეადგენს დადებული თანხის ოთხმაგ რაოდენობას.

ფსონის მინიმალური თანხაა 500 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.

ფსონების შიღება წყდება მატჩის დღეს 16 საათზე. მოგებები გაიცემა მატჩის მეორე დღესვე.

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს ეროვნული სტადიონის მეზუთე სალაროში 13-დან 16 საათამდე და სასტუმრო „აჭარის" ფოიეში 12-დან 15 საათამდე (სასტუმრო „აჭარაში" ფსონების მიღება დაიწყება 17 აგვისტოდან).

უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

			1	X	2
18 აგვისტო	დინამო — ლინფილდი	0:1	1,8	1,8	3,5
	სკონტო — ოლიმპია		2,6	1,6	2,3
	ომონია — აარაუ		3,5	1,6	1,9

„დინამო" — „ლინფილდის" მატჩის შედეგია განსაზღვრისას რეალურ შედეგს დაემატება აღნიშნული ანგარიში (0:1). მაგ. თუ მატჩი დამთავრდა 2:1, ტოტალიზატორის შედეგის განსაზღვრისას მივიღებთ ფრეს — 2:2. შესაბამისად, მოგების ფსონია — ფრე.

რაბბი

შაბათი, 14 აგვისტო. „ბალიმორი", ბრისბენი. მეორე ტესტი (ტურნეს X თამაში)

ავსტრალია 28 (10)
3ლ: ლითლი 2, პორანი; 2გ, 3ს: რობაკი

სამხრეთი აფრიკა 20 (10)
2ლ: სტრანსკი, ოლიფიე; 2გ, 2ს: სტრანსკი

ქვინზლენდელი «ტყუპების» წვლილი

მსოფლიოს ჩემპიონებს — ავსტრალიელ „ვოლაბებს" ბრისბენის ტესტის წინ უკანდასახევი გზა აღარ რჩებოდათ: თუ ტესტ-სერიაში სამხრეთაფრიკელი „ქურციკების" ჯობნა სურდათ, ქვინზლენდის დედაქალაქში აუცილებლად უნდა გაემარჯვათ.

სიდნეიში ორი კვირის წინ განცდილმა მარცხმა „ვოლაბებს" ჭკუა ასწავლა. მათმა მწვრთნელმა დეაიერმა „ქურციკების" მესამე ხაზის მოსაშთობად „მამლუქებსაც" კი მოავლო თვალი და შეჩერდა ქვინზლენდში მოთამაშე ფიჯელ ელია ტაბუაზე, რომელსაც 1989-90 წლებში ხუთჯერ ეთამაშა თავისი ქვეყნის ნაკრებში. ტაბუა შერკინების ფრთაზე გაამწესეს მორგანის ნაცვლად, მორგანს კი მეორე ხაზში უკრეს თავი.

შერკინების გადახალისებამ გაამართლა. დერეფანიც „ვოლაბებმა" მოიგეს 20-14. მაგრამ მასპინძლებმა თუ გაიმარჯვეს, ისევ და ისევ ერთიანად ვარსკვლავებით დაკომპლექტებული უკანა ხაზის მეშვეობით. კვლავ მშვენივრად ითამაშეს ფარ-ჯოუნზმა (9), კემპბიმ (14), ახალბედა ბოუენმა (10) და 23 წლის ქვინზლენდელმა „სარაგბო ტყუპებმა" — შუამარბებმა ლითლმა და ჰორანმა (ფოტოზე ლითლი ბურთითაა). თანაკლუბელებმა (ორივე ბრისბენის „სიუსზში" თამაშობს) თავიანთი შტატის მთავარ სტადიონზე ერთად სამი ლელო გაიტანეს.

ინგლისი „ვოლაბმა" რობაკმა (15) საჯარიმოთი გახსნა, რასაც სტრანსკიმ (10) ასევე საჯარიმოთი უპასუხა. მერე ისევ სტრანსკიმ იმარჯვა, ბურთის გათამაშებაზე გადარეულ მასპინძლებს გადაცემა ჩაუჭრა და გაუტანა ლელო, რომელიც თავად გარდასახა 3:10.

ზედ შესვენების წინ დერეფნიდან ტაბუამ (7), კაპიტანმა ქერნსმა (2) და შაკკენზიმ (3) შეუტიეს, მერე ბურთი უკანა ხაზს მისცეს, რაც ლითლის პირველი ლელოთი დაგვირგვინდა 10:10. თამაშის განახლების შემდეგ „ვოლაბმა" მორკინალებმა კარგად გათამაშეს თავისუფალი, რის შემდეგაც ფარ-ჯოუნზმა ლითლს მეორე ლელოც გაატანინა 17:10. მალე ერთ-ერთი ხანგრძლივი იერიშის ბოლოს კემპბიმ აბრაგანი დაარტყა, ბურთი მიწიდან უშნოდ ახტა და ჰორანმაც „ქურციკ" ოლიფიეს (11) ბურთი თვალსა და ხელს შუა ააცალა 22:10. ამას სტრანსკის ერთი და რობაკის ორი საჯარიმო მოყვა 28:13. ამათგან მეორე მას შემდეგ დაინიშნა, რაც ინგლისელმა მსაჯმა მორისონმა „ქურციკი" სმოლი (14), ვინაც პირველ ტესტში ორი ლელო გაიტანა, ხოლო 100 მეტრს 10,5 წამში გარბის, კამათისთვის მოედნიდან გააძევა.

სმოლი საერთაშორისო მატჩებში გაძევებული პირველი (!) „ქურციკია". ახლა რაგბის ბუმბერაზთაგან ერთი შოტლანდიაღა დარჩა, ვისი მოთამაშეც მოედნიდან არასოდეს გაუძევებიათ.

სმოლს სასჯელის გამო ერთი თამაში გაუცდება — ხვალ, სიდნეის ნაკრების წინააღმდეგ. რაც შეეხება მესამე, გადამწყვეტ ტესტს, იგი შაბათს გაიმართება სიდნეის „ფუტბოლ სტადიუმზე".

სპორტული ტერმინოლოგიისთვის

„შუა უზის დიდი მზღვარი"

ერთობ დიდი ხნის მანძილზე სპორტული ტერმინები ქართულში რუსული ენის გავლით შემოდიოდა. ამან, გაფუჭებული ტელეფონის პრინციპის გამო, არაერთი უაზრო ქართული ტერმინი დაგვიმკვიდრა.

ერთი მათგანია „ამერიკული ფეხბურთი". ვინც შორიდან მაინც იცნობს სპორტის ამ სახეობას, დაგვეთანხმება, რომ მას არაფერი აქვს საერთო ჩვენებურ, მთელს მსოფლიოში გავრცელებულ ფეხბურთთან. ამიტომ არასწორად მიგვაჩნია ის, რომ ამ თამაშს ჩვენს ენაზე „ფეხბურთი" ერქვას. საქმეს ვერ შველის მისი წარმომავლობის დაზუსტება, აქაო და ჩვეულებრივ ფეხბურთს კი არ ვგულისხმობთ, არამედ ამერიკულსო.

უხეირო ტერმინის შესაცვლელად დედანს მივმართოთ. ინგლისურად ამ თამაშს American football ჰქვია, რასაც რუსები „ამერიკანსკიი ფუტბოლ"-ად თარგმნიან, რაკიღა ინგლისურ football-ს მათს ენაზე „ფუტბოლ" შეესაბამება. რაკიღა რუსული „ფუტბოლ" ქართულად „ფეხბურთად" ითარგმნება, ტრანზიტულობის ძალით American football „ამერიკულ ფეხბურთად" ითარგმნა, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აბსურდია.

American football-ის სწორი ქართული შესატყვისის დასადგენად ჯერ ინგლისური football-ის მნიშვნელობა უნდა გაირკვეს. თუ ჩავხედავთ მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტული სასწავლო ლექსიკონის The Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English უახლეს, მეოთხე გამოცემას (1989 წლისას; ამ წიგნის 1948 წლის პირველი გამოცემა დაიბეჭდა 12-ჯერ, 1963 წლის მეორე გამოცემა — 19-ჯერ, 1974 წლის მესამე გამოცემა — 28-ჯერ!), 478-ე გვერდზე ვნახავთ, რომ football-ს ჰქონია სამი მნიშვნელობა.

პირველი: football ყოფილა „დიდი მრგვალი ან ოვალური გაბერილი ბურთი, ჩვეულებრივ ტყავისა";

მეორე: football ყოფილა „ზემოთაღწერილი ბურთით ნებისმიერი თამაში, რომლებიც მეტწილად ღია ცის ქვეშ იმართება და რომლებშიც ორი გუნდი მონაწილეობს";

და მესამე: football ბრიტანულ ინგლისურად ყოფილა ჩვენებური ფეხბურთის სახელი; რაც შეეხება ფეხბურთის სრულსა და ოფიციალურ სახელს, ბრიტანულად მას Association football ჰქვია.

აქედან ცხადი უნდა იყოს, რომ American football-ში სათარგმნი სიტყვა ნახმარია მეორე მნიშვნელობით, რასაც ქართულად უდაოდ და სავსებით შეესაბამება „ბურთაობა".

ამრიგად, American (Canadian, Australian, Gaelic) football ქართულად უნდა ითარგმნოს არა როგორც „ამერიკული (კანადური ...) ფეხბურთი", არამედ როგორც „ამერიკული (კანადური, ავსტრალიური, გელური) ბურთაობა".

რაც შეეხებათ რუსებს, ისინი ალბათ, არც football-ის სემანტიკას ჩაღრმავებიან და ენაში არც „ბურთაობის" შესაბამისი სიტყვა მოეძევებათ..

აქეთური, იქითური

ფორმულა 1-ის ტიტულიანი ბრაზილიელი ალესანდრო ნანინი სამი წლის წინ „ბეჯულმფრენით ლაღობისას ავარიაში მოყვა და კინაღამ მარჯვენა ხელიც დაკარგა. მხოლოდ სასწაულებრივმა მიკროქირურგიამ და ხანგრძლივმა ფიზიოთერაპიამ შეაძლებინა მრბოლს დაშავებიდან 6 თვის თავზე კვლავ მიჯდომოდა თავისი „ალფა-რომეოს" საჭეს. შემდეგ ნანინი ყავის-ბიზნესზე გადაერთო, ახლახანს კი გამოაცხადა, რომ სასეტემბროდ ფორმულა 1-ში დაბრუნებას ეცდება.

*

შეფილდში წყალჯომარდობის ევროპის ჩემპიონატი დამთავრდა; სამაგიეროდ, კობეში (იაპონია) წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების პირველობა დაიწყო. მასში 16 ქვეყნის (მათ შორის აშშ-ს, ავსტრალიის, კანადის) ორასზე მეტი საუკეთესო მოცურავე ჩაება. გრანდებიდან კობეში მხოლოდ ჩინეთი მოისაკლისეს, რომელმაც საშინაო პირველობა მაინცდამაინც კობეს შეჯიბრებას დაამთხვია. აქვე გამოცხადდა, რომ წყნარ ოკეანელთა მორიგი თავყრილობა ორი წლის შემდეგ მოეწყობა ატლანტაში და ოლიმპიური აუზის გასინჯვაც იქნება.

*

ქალაქი ბრაზილია გამოაკლდა 2000 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის მსურველთა კონკურსს, რითაც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (სოკ) შვება იგრძნო. საქმე ის არის, რომ ბრაზილიას, რომელიც კანდიდატებს შორის აშკარა მაჩანჩალა იყო, მაგრამ მაინც ჯიუტად უარობდა თავისი კანდიდატურის მოხსნას, ბიულეტენში ოდენ ყოფნით შეეძლო დაემახინჯებინა შედეგი კენჭისყრისა, რომელიც დარჩენილი ხუთი მოცილისგან საუკეთესოს ამოსარჩევად 23 სექტემბერს უნდა გამართოს. სოკ-ის სამდივნოს ცნობით, ბრაზილია ახლა 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის იბრძოლებს.

*

ცნობილი გახდა, რომ მონიკა სელეში ვერ დაიკავებს ჩემპიონის ტიტულს აშშ-ის ღია ჩემპიონატში, რომელიც ორ კვირაში დაიწყება. როგორც გაირკვა, მონიკას მკურნალ კოლორადოს შტატელ ეკიმებს ჯერაც არ შეუძლიათ იმის დანამდვილებით თქმა, თუ როდის შეძლებს ბეჭში დაჭრილი ქალი ასპარეზობას. შეგახსენებთ, რომ სელეშს ვინმე გიუნტერ ჰაი პირველში ჰამბურგის ღია პირველობაზე თამაშის დროს დანით თავს დაესხა, აქაოდა „შტეფი გრაფის ქომაგი ვარ, მონიკა ჩემს რჩეულს პირველობას არ ანებებსო". თავდამსხმელი წინა კვირაში პასუხისგებაში მისცეს, მაგრამ გერმანიის მართლმსაჯულებას სასამართლო ჯერ არ დაუნიშნავს.

*

ლას-ვეგასის (ნევადა) „სიზორს პალას ოტელში" გამოცხადდა, რომ იქვე 6 ნოემბერს მძიმეწონასან მოკრივეთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი მსოფლიოს კრივის ასოციაციისა (WBA) და კრივის საერთაშორისო ფედერაციის (IBF) ვერსიით რიდიკ ბოუ დაიცავს ტიტულს ევანდერ ჰოლიფილდთან შეხვედრაში. აღსანიშნავია, რომ ბოუმ ჩემპიონობა თავის დროზე სწორედ ჰოლიფილდის ძლევით მოიპოვა.

*

დიდი ბრიტანეთის სამოცი საფეხბურთო კლუბი ანტირასისტულ კაშპანიაში ჩაება. საქმე ისაა, რომ ფეხბურთის იმიჯის გაკეთილშობილებისთვის კლუბებმა თავად იკისრეს რასისტი ხულიგნების ალაგმვა. ესენი თურმე მეტწილად პროფაშისტური დაჯგუფებების წევრები ყოფილან და სტადიონებზე თავიანთი ქცევით სხვა რასების წარმომადგენლებს შეურაცხყოფენ. კამპანიის მონაწილეებს ანტირასისტული ლოზუნგების თამაშის პროგრამებში შეტანა და სტადიონებზე საჯაროდ გამოფენა დაევალათ.

*

სამხრეთ კაროლინის შტატის პოლიციამ ამი კვირის ძებნის შემდეგ ტყის პირას იპოვა „ჩიკაგო ბულზის" კალათბურთელის, მაიკლ ჯორდანის მამის, ჯეიმზ ჯორდანის გვამი. როგორც ვარაუდობენ, ვარსკვლავის მამა, რომელიც შვილთან ერთად ხშირად ჩნდებოდა ტელეეკრანებზე სარეკლამო სიუჟეტებში, გამოსასყიდის იმედად მოიტაცეს.

აქეთური, იქითური

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის საშაბათობით და პარასკევობით

ინდექსი 66441

რედაქციის მისამართი:
თბილისი 77, ალ. ყაზბეგის 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

სარედაქციო კოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეკელია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)